სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 იანვარი 2004 №5 (2024) | ფასი 50 თეთრი

ამ ძველით ახალ წელს საქართველო ძველ დროებას დაემშვიდობა

ახალ ახალ წელს გილოცავთ!

ფეხბურთი სულ ერთი ლამაზი წამია

1981 დინამო ქუთაისი ევროპის ჩემპიონი

მკლავეთ!

გალათასარაი ლომაიას შანსია

დაახლოებით ერთი კვირაა, მოსკოვის „სპარტაკი" და გიორგი ლომაია ანთალიაში ემზადებიან ახალი სეზონისთვის. მოსკოველთა იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა ფეხბურთელებს სიქას აცლის და დიდი დატვირთვებით ავარჯიშებს. დღეიდან კი „სპარტაკი" პოპულარულ ტურნირ „ეფესის თასზეც" ითამაშებს.

ცხადია, ჩვენ საქართველოს ნაკრებისა და „სპარტაკის" მეკარე გიორგი ლომაიას ბევრი უფრო გვაინტერესებს და გუშინ მას თურქეთში ამიტომაც შევეხმიანეთ

— გიორგი, თავს როგორ გრძნობ, ხომ არ გაგიჭირდა?

— გვკლავენ. ასეთი დატვირთვები არსად მინახავს.

— უძლებ?

— სხვა რა გზაა... უნდა გავუძლო. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და საღამოობით ხეირიანად ლაპარაკის თავიც არ მაქვს.

— „ეფესის თასზე" რას აპირებთ?

— ხვალ „გალათასარაის" ვეთამაშებით...

— ანუ შესაძლოა, შენი სპარტაკული დებიუტიც შედგეს?

— ზუსტად არ ვიცი. ალბათ სკალა ყველას მისცემს თავის გამოჩენის შანსს. როგორც ვიცი, ის ამ ტურნირს სერიოზულად არ უყურებს, უფრო მოსამზადებლად თვლის. მით უმეტეს, დღესაც ამხელა დატვირთვებით გვავარჯიშა, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია, ახლა შეკრებაზე ვართ და „ეფესის თასი" სხვამხრივ არც გვაინტერესებს.

— თვითონ სკალა რა კაცია?

— ძალიან კონტაქტური და ამავე დროს მკაცრი პიროვნებაა. ძალიან მაღალ დონეზე აქვს დისპიცლინა. როცა პირველად შეგვხვდა, ყველას სათითაოდ დაგველაპარაკა, გაგვამხნევა, შანსი ყველას გექნებათ და აბა, თქვენ იცითო.

— უფრო კონკრეტულად რა გითხრა?

— გამომკითხა, სად ვთამაშობდი ადრე... უფრო გაცნობითი ხასიათის საუბარი გვქონდა.

— „გალათასარაისთან" თამაშს დავუბრუნდეთ. შენს შანსს ალბათ მარიოკოელი ბაგის ტრავმაც ზრდის...

— ჰო, ახლა ორი მეკარე დავრჩით: მე და კოვალევსკი. ბაგიმ ფეხი იტკინა და დროებით დაგვშორდა.

— ამბობენ, სკალას ახალი მეკარის შეძენაც სურსო...

— არ ვიცი, არაფერი გამიგია.

— ახალი ფეხბურთელების ტრანსფერებიც არ არის მოსალოდნელი?

— ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავინ გამოჩენილა. ერთადერთი კამერუნელი ფეხბურთელი ისინჯება.

— როგორც ჩანს, „სპარტაკს" ახალ სეზონში სერიოზული მიზნები ექნება...

— სამეულში მოხვედრა მოგვთხოვეს. დანარჩენი მერე გამოჩნდება. უეფას თასზეც ხომ ვთამაშობთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. მართლა, ნაკრებში მწვრთნელი დანიშნეს?

— ჯერ არა, მაგრამ ალბათ ანრი მიშელი დაინიშნება. ფედერაცია მის პასუხს იანვრის ბოლომდე ელის.

— ესე იგი, მიშელი იქნება? ძალიან კარგი.

— თებერვალში ნაკრები კვიპროსის ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ახალ მწვრთნელსაც ალბათ იქ გაიცნობ. „სპარტაკიდან" რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნება?

— ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. „სპარტაკის" მოსამზადებელი ეტაპიც გასათვალისწინებელია და ისიც, გამომიძახებენ თუ არა ნაკრებში.

— ანთალიაში როდემდე რჩებით?

— 22 იანვრამდე აქ ვივარჯიშებთ. მერე კიდევ ერთი უცხოური შეკრება იქნება.

კახა შალამბერიძე

ქეცბაიამ მწვრთნელობა დაიბევა

ბაფანა ბაფანას ფოტო

თემურ ქეცბაია სამწვრთნელო საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი — ორიოდ დღის წინ იგი კვიპროსის „ანართოსისის" თავკაცად დაინიშნა. თემურ ქეცბაია ახლო მომავალში საქართველოშიც ჩამოვა და ფეხბურთის ფედერაციასთან არსებულ B კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზიის მისაღებ კურსებს გაივლის. ეს ლიცენზია უმაღლეს დონეზე მუშაობის უფლებას არ იძლევა, თორემ კვიპროსში საქმიანობისთვის საქართველოში მიღებული წოდება საკმარისი უნდა იყოს.

ქეცბაია, ვიდრე ფეხბურთელის კარიერას აგრძელებს, ჯერჯერობით „ანართოსისის" მოთამაშე-მწვრთნელად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მას მცირე სამწვრთნელო პრაქტიკა საქართველოს ნაკრებში აქვს გავლილი. ქეცბაია შარშან ალბანელებთან შესარჩევი მატჩებისას მერაბ ჟორდანიას თანაშემწე იყო. ეს ფაქტი კი 35 წლის ქეცბაიას B ლიცენზიის მიღებას გაუიოლებს.

ისიც გავიგეთ, რომ ქეცბაია, რომელიც უკვე რა ხანია, ცოლოურს გადაიხვეწა, სამწვრთნელო საქმის კვიპროსში დაწყება-დამთავრებას არ აპირებს და სამომავლოდ ერთ-ერთ ცნობილ ევროპულ სამწვრთნელო სკოლაში გეგმავს სწავლის გაგრძელებას.

ცნობისათვის: თემურ ქეცბაია კვიპროსზე 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

კოტა ინასარიძე

ტკივილმა გახოკიძეს ნატერფალი დაუტოვა

კვირაზე მეტია, ჰოლანდიურმა „ტვენტემ" სამეორეწრეო სამზადისი დაიწყო. რენე ვანდერეიკენი ენსხედეში, კლუბის ბაზაზე სრული დატვირთვით ავარჯიშებს შეგირდებს, რომელთა შორისაც არ იმყოფება გოგა გახოკიძე. ქართველ ნახევარმცველს ძვირად დაუჯდა სადეკემბრო თავგანწირვა — გოგამ სათასო მერვედფინალის და ტურის სამი მატჩი გამაყუჩებელი ნემსებით ითამაშა და ამის გამო ტრავმა გაუმიზეზდა.

გახოკიძე გუშინ ახალი დაბრუნებული იყო კლინიკიდან, ენსხედეში რომ შევეხმიანეთ.

— ეს წუთებია, ექიმის კაბინეტიდან გამოვედი. ნატკენ ტერფზე ისევ გადამიღეს სურათი. საშიში არაფერიაო, მითხრეს, მაგრამ ტერფი მაინც მტკივა. ამის გამო ახალი წლის შემდეგ საერთოდ არ მივარჯიშია.

— ტერფი რომ ისევ გაწუხებს, გარკვეულწილად შენი ბრალიცაა. ბოლო ოთხ მატჩში ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით გახვედი მოედანზე და შეუცვლელად ითამაშე...

— ასეა, მაგრამ მაშინ სხვაგვარად არ შემეძლო. „ტვენტეს" ვჭირდებოდი. მწვრთნელი მენდობოდა, ჩემი იმედი ჰქონდა და ვერ ვულალატე.

— ექიმმა რა გირჩია?

— მითხრა, ერთი-ორი დღე იძულებული და მერე სრული დატვირთვით ივარჯიშეო. გუშინ კი ვირბინე, ამაში ტერფს ხელი არ შეუშლია, მაგრამ როგორც კი ბურთს შევეხე, მაშინვე ტკივილი ვიგრძენი, ამიტომაც ვეჩვენე ექიმს. ვნახოთ, მის რჩევას გავითვალისწინებ და ეგებ შაბათს ვითამაშო კიდეც გერმანული „გლადბახის" წინააღმდეგ. ეს საკონტროლო შეხვედრა ენსხედეში გაიმართება და იმედი მაქვს, იქამდე გამოვჯანმრთელდები.

— დეკემბრის ბოლოს რუსულმა გაზეთებმა დაწერეს, გახოკიძე ცსკა-ში გადადის, მოსკოვშიც იყო ჩამოსული და მოლაპარაკება თითქმის დასრულებულიაო...

— ტყუილია, მოსკოვში არ ვყოფილვარ. ასეთი რამ აქაურ, ჰოლანდიურ გაზეთებშიც წავიკითხე და გაოცებული დავრჩი. ცსკა-დან არავინ დამკავშირებია. ერთი კი იყო, ვიღაცას თბილისში, ჩემებთან დაურეკავს, ცსკა-ს მენეჯერი ვარ და გოგასთან ლაპარაკი მსურსო, დედაჩემს უთქვამს, ორ-სამ დღეში გოგა თბილისში დაბრუნდება და მაშინ დაურეკეთო. ეს იყო და ეს. მას შემდეგ არავინ დამკავშირებია. რომც დამლაპარაკებოდნენ, ცსკაში გადასვლას არ ვისურვებდი.

— ვიცით, რომ ჰოლანდიურ „ჰერენვენს" აქვს შენი გადაბირების სურვილი...

— არა მარტო „ჰერენვენს". „უტრეხტი" „როდა" და „ნაიმეგენი" მიწვევენ. „უტრეხტის" წარმომადგენელს ბოლოს გუშინ ველაპარაკე. დღე არ გავა, „როდას" და „ნაიმეგენის" მენეჯერებიც რომ არ დამიკავშირდნენ. მაგრამ „ტვენტეს" ამ ეტაპზე არ დავტოვებ. ჯერ ერთი, კლუბს ვჭირდები, მეორეც, ჩემი მსურველი გუნდები არაფრით აღემატებიან „ტვენტეს". სხვა საქმეა აქაური გრანდები რომ მიწვევდნენ, ასეთ დროს არც დავფიქრდებოდი.

— „ტვენტესთან" კონტრაქტი მაისის ბოლოს გიმთავრდება. ენსხედელებს ხელშეკრულების გაგრძელება არ შემოუთავაზებიათ?

— როგორ არა. სხვების ფაციფუცის ამბავი რომ შეიტყვეს, კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, დავსხდეთ, პირობებზე შევთანხმდეთ და კონტრაქტი გავაგრძელოთო, მაგრამ ამის გაკეთება არ მსურს, დაველოდები ჩემპიონატის დამთავრებას და ეგებ უკეთესი შანსი გამოჩნდეს.

პაატა კვანტალიანი

ინგლისი

III დივიზიონი
გადადებული მატჩები

ლინკოლნი 0:0 ჩელტენჰემი
მაკლსფილდი 2:1 როვერსი

ასოციაციის თასი
1/32 ფინალი. გადათამაშება

სკანთორპი 2:0 ბარნსლი
კოლჩესტერი 2:1 აპრინგტონი
როტერჰემი 1:2 ნორთჰემპტონი
სტოკი 0:1 უიმბლდონი
ვულვერჰემპტონი 2:0 კიდერმინსტერი
ბოლტონი 1:2დ.დ.(1:1) ტრანმერი
რედინგი 1:2 პრესტონი

საფრანგეთი

თასის 1/32 ფინალი

ნანსი 0:0დ.დ.(პენ. 5:4) ლილი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ლანსი 0:4 სოშო

ესპანეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩი

რეალი 2:0 ეიბარი (1:1)

იტალია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

უდინეზე 0:0 ინტერი

მოსკოვი დინამოს აუდიტორიას და გრძნობებს ჰპირდება

„დინამო“ მოსკოვშია და ესენგეს თასისთვის მზადებას შეუდგა. სასტუმრო „კოსმოსში“ დაბინავებულ საქართველოს 11-გზის ჩემპიონს ტურნირის ორგანიზატორებმა მშვენიერი დახვედრა მოუწყვეს. სასტუმროს გარდა დინამოელებს ჩინებული სავარჯიშო პირობებიც დაახვედრეს. თუმცა ამაზე „დინამოს“ სპორტული დირექტორის გივი ნოდიას ინტერვიუდან შეიტყობთ, მანამდე კი მცირე ცნობები „დინამოს“ მეტოქეებზე

დინამოელები პირველ მატჩს ყირგიზულ „უაშტიკთან“ ჩაატარებენ. ეს კლუბი თანამედროვე საფეხბურთო საზომებით საკმაოდ ახალგაზრდაა — 1992 წელს დაარსდა. კლუბის სახელი მთლიანობაში ასე ჟღერს: „უაშტიკ-აკ-ალტინ“. როგორც ამბობენ, ის ყირგიზეთში უმდიდრესია. თუმც ჩემპიონის ტიტული ერთადერთხელ, 2003 წელს მოიპოვა. „უაშტიკის“ მთავარი მწვრთნელი ბოშ იუსუპოვია. წამყვან ფეხბურთელებად კი ყირგიზეთის ნაკრების წევრები — სულეიმანოვი, მამატოვი და ბოლდიგინი ითვლებიან.

ტურნირისთვის სერიოზულად ემზადება „დინამოს“ კიდევ ერთი მეტოქე, ყაზახური „ირტიში“. ყაზახებმა მოსამზადებელი ეტაპი 2 იანვრიდან თურქეთის ქალაქ ბელეკში დაიწყეს, სადაც სინთეტიკურ გაზონს გაუშინაურდნენ. „ირტიში“ ხელოვნურ საფარზე 0:0 ეთამაშა თურქულ „ქარაგიუმლუკს“. კარიერა დაასრულა „ირტიშის“ ვეტერანმა კაპიტანმა ტიმოფეევმა. ეს კლუბი 1965 წელს დაარსდა და ხუთჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მთავარი მწვრთნელი დიმიტრი ოგაია. წამყვან მოთამაშეებად აქაც ნაკრების ფეხბურთელები არიან: აგაევი და ნოვიკოვი. ესენგეს ოთხი ტურნირიდან „ირტიშმა“ მხოლოდ ერთხელ გადალახა ჯგუფური ბარიერი.

ყველაზე სერიოზულ მეტოქედ რიგის „სკონტო“ უნდა მივიჩნიოთ. რიგელები შარშან ფინალისტებიც იყვნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლატვიური ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა, ჯგუფში პირველი ადგილის ბედი „დინამო“-„სკანტოს“ მატჩში უნდა გადაწყდეს. უკვე მეშვიდე წელია, კლუბს გიუნტის ინდრიქსონი პრეზიდენტობს. მწვრთნელი კი ლატვიური სასწაულის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, ალექსანდრ სტარკოვსია. „სკონტოს“ წამყვანი ფეხბურთელები, მიხოლაპი, ზემლინსკი და ლობანევი ევროპული კლუბების ინტერესის სფეროში არიან. „დინამოს“ ლევან კორღალიძეც დაუპირისპირდება.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ კიევის „დინამოს“ მსგავსად ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშებს მოსკოვის ცსკაც. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ტურნირისადმი რუსული ტელეკომპანიების გულგრილობაც. უკვე ცნობილია, რომ ОРТ, 7ТВ, НТВ плюс-ი არ აპირებენ პირდაპირ ტელერეპორტაჟებს. ერთადერთი იმედი რუსულ არხ СПОРТ-ზეა თუმცა ამ შემთხვევაშიც ქართველი ტელემაყურებლები თამაშგარეთ რჩებიან, ვინაიდან СПОРТ-ის მიღებას ვერც ერთი ქართული საკაბელო ტელევიზია ვერ ახერხებს.

ახლა კი *გივი ნოდიას* დაპირებული ინტერვიუც:

— მოსკოვში გრაფიკის მიხედვით, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ჩამოვედით. დავბინავდით და უმალ სამუშაო ატმოსფერომ დაისადგურა. ახლა ბიჭები ისვენებენ, შემდეგ კი პირველ ვარჯიშს ჩავატარებთ „სპარტაკის“ მანეჟში. ვარჯიში 5 საათზე დაიწყება. უნდა ითქვას, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა სავარჯიშოდ უპრობლემოდ გამოგვიყვეს „სპარტაკის“ მანეჟი. პირველ მატჩს სწორედ იქ ჩავატარებთ.

— თქვენს გამგზავრებას თბილისში დიდთოვლობა მოჰყვა, როგორი ამინდია მოსკოვში?

— მინუს ხუთი გრადუსია, მოსკოვისთვის საკმაოდ ნორმალური ამინდია.

— გაგა ჩიტაიას სავიზო პრობლემები ჰქონდა, თქვენთან ერთადაა თუ 16 იანვრიდან შემოგიერთდებათ?

— მოსკოვში სრული შემადგენლობით ჩამოვედით, ჩიტაიაც ჩვენთან ერთადაა და ჩვეულებრივად გუნდთან ერთად მოემზადება.

— თბილისში, ბოლო ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო მამუკა წერეთელმა, ახლა როგორაა?

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, პირველ ვარჯიშს ალბათ გამოტოვებს, შემდეგ ვნახოთ, ექიმები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ტურნირისთვის მომჯობინდეს.

— პირველი მატჩი 17 იანვარს გაქვთ, მანამდე როგორი გრაფიკით მოემზადებით?

— 14 და 15 იანვარს ორჯერადი ვარჯიშები გვექნება. 16-ში დილით ვივარჯიშებთ. შემდეგ ბიჭები დაისვენებენ. 17 იანვარს კი თბილისის დროით 16 საათზე პირველ მატჩსაც ჩავატარებთ.

— რუსული მასმედია თუ იჩენს ინტერესს „დინამოსადმი“?

— ასე ადრე არავინ გველოდა. ალბათ დღეიდან გააქტიურდებიან. ისე, საფეხბურთო წრეებში უკვე გვითხრეს, რომ მოუთმენლად ელიან „დინამოს“ ახალი თაობის ხილვას. რუსები არც მალავენ, რომ ამ კლუბისადმი განსაკუთრებული გრძნობები აქვთ, „დინამო“ ენატრებათ. ისინი თვლიან, რომ ყველაზე დიდი აუდიტორია სწორედ „დინამოს“ ეყოლება.

დავით ერაძე

მარტოობა კოსმოსში

ნაპერწკლიდან ალი აინთება?

„სპარტაკის“ მანეჟში დინამოელებმა პირველი ვარჯიში ჩაატარეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაღლილები (ხელოვნური საფარი და გადახურული მოედანი მაინც სხვაა) დაბრუნდნენ სასტუმროში. ვახშამი ახალი დასრულებული ჰქონდათ და ოთახებში დასასვენებლად შეკრეფილიყვნენ, ერთ ნომერში დაბინავებულ დინამოელთა კაპიტანს გიორგი შაშიაშვილს და ლადო ბურდულს რომ შევეხმიანეთ

ბაფრი ხუციშვილის ფოტო

გიორგი შაშიაშვილი და ლადო ბურდული

გიორგი შაშიაშვილი: სიმართლე გითხრა, არ ველოდი, ასე განსხვავებული და რთული თუ იქნებოდა მანეჟში თამაში, არადა, ესენგეს თასზე უკვე მესამედ ჩამოვდივარ. დახურული სივრცე ძალიან ართულებს კოორდინირებას. თუმცა ტურნირამდე კიდევ ხუთჯერ ვივარჯიშებთ, ვფიქრობ, ალღოს ავუღებთ და კომბინირება არ გაგვიჭირდება. ზოგიერთ ჩვენგანს მანეჟში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს, მაგალითად, ზოიძეს, ალექსიძეს, ანჩაბაძეს... მე მგონი, ყველაფერი კარგად იქნება.

— წერეთელი ტრავმით გამოეგზავრა მოსკოვში, მისი არყოფნა ისედაც დასუსტებულ დაცვას უფრო დაასუსტებს...

— მართლაც რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, მამუკამ დღესაც ივარჯიშა და საზარდული ისევ ეტკინა. მთელი დატვირთვა რამდენიმე ფეხბურთელზე მოვა, იმიტომ, რომ მცველებით განებივრებული არ ვართ. ახლა კანდელაკზეც ბევრი იქნება დამოკიდებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კაშიას სიცხემ აუწია.

— სხვა გუნდები თუ ჩამოვიდნენ?

— ფაქტობრივად, ყველა გუნდი აქ, სასტუმრო „კოსმოსში“ უნდა გაჩერდეს. ჯერჯერობით არავინ ჩანს. გავიგე, რომ „სკონტო“ მოსკოვში სხვა ტურნირიდან მოემგზავრება და საკმაოდ სერიოზულადაც ემზადება.

— როგორ პირობებში ხართ?

— არც სასტუმრო დაიწუნება და სავარჯიშოდაც ის არენა გამოგვიყვეს, სადაც ჯგუფური მატჩების ჩატარება მოგვიწევს.

ლადო ბურდული: ძალიან გაგვიჭირდა ვარჯიშის პირველ ნახევარში, მანეჟში სუნთქვაც ჭირდა. დიდი სამსახური გაგვიწია „ბენდელას თასმა“, იმ ფეხბურთელებმა, ვინც „ბენდელაზე“ ითამაშა, დახურული სივრცის დისკომფორტი მალევე მოიშორეს.

— კიდევ რითაა რთული მანეჟში ბურთაობა?

— ფაქტობრივად, ყველაფრისადმი შეგუება გჭირდება. ბურთიც სხვანაირად გორავს, სირბილიც უფრო ნელია და დაღლილობა გიორმაგდება. არ იფიქროთ, თითქოს ვწუწუნებდე, უკვე ორმხრივი თამაშიც გვქონდა და მომენტებში ის დინამოური ნაპერწკალიც გამოჩნდა, რაც მუდამ ახასიათებდა ჩვენს გუნდს. ტურნირის დაწყებამდე ამ საფარსაც ავუღებთ ალღოს, სად გაგვექცევა?

— შენ რუსი ჟურნალისტები ეროვნული ნაკრებიდანაც გიცნობენ, ხომ არ „შეუწუხებიხართ“?

— როგორც მითხრეს, ხვალიდან ჩვენს ვარჯიშებზე გამოჩნდებიან. დღეს მოსკოვში მცხოვრები რამდენიმე ქართველის და „დინამოს“ დელეგაციის გარდა არავინ მინახავს. გავიგე, რომ წლეულს ესენგეს ტურნირს უამრავი სკაუტიც დაესწრება, მაგრამ ისე არ გამიგო, თითქოსდა მათთვის თავის მოწონება მსურს. უბრალოდ, ფაქტია, რომ თავად ტურნირს ინტერესი არ დაუკარგავს.

დავით ერაძე

გაბელია და ტორპედო ჰრეზიდენტს თასით იწყებენ

ბაფრი ხუციშვილის ფოტო

ქუთაისის „ტორპედო“ და ბოლნისის „სიონის“ ან უკვე ყოფილი მწვრთნელი ოთარ გაბელია წელიწადნახევრიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, თუმც არაა გამორიცხული, მხარეებმა მოგვიანებით კონტრაქტის გაგრძელებაც ისურვონ

ორი დღეა, ოთარ გაბელია ახალ გუნდს ავარჯიშებს. ტორპედოელებმა ახალი მწვრთნელი გაიცნეს და უკვე მისი მითითებებით ემზადებიან. ანდრი პოროშინის, რომან ახალკაცის, ვახტანგ ხვადაგიანისა და ზურაბ მუშკუდიანის გარდა გუნდი არავის დაუტოვებია, თუმც დიდი შანსია, ამ ოთხეულს მეკარე გიორგი სომხიშვილიც შეუერთდეს. ის კლუბის ხელმძღვანელობას ესაუბრა და თუ სხვა თავშესაფარი იპოვა, ხელს არ შეუშლიან.

გუშინდელ „სარბიელშიც“ გაუწყეთ, რომ „ტორპედოში“ ალბათ სულიკო დავითაშვილი ითამაშებს, თუმც არც სიონელი კოშკაძის, სპარტაკელი ბოლქვაძისა და თბილისელი მემარნიშვილის გამოჩენაა გამორიცხული. თუ ესენი თავ-თავიანთ კლუბებთან ურთიერთობას მოაგვარებენ, პრობლემა არ იქნებაო, გვითხრა გუშინ ოთარ გაბელიამ.

„ტორპედო“ ანთალიაში აპირებდა შეკრებაზე წასვლას, მაგრამ ახლა გეგმები შეიცვალა — ანთალიას თურქმენეთი ჩაენაცვლა. 10-20 თებერვალს ქუთათურები აშხაბადში „პრეზიდენტის თასზე“ ითამაშებენ. ეს ტურნირი „ტორპედოსთვის“ უცხო სულაც არაა — შარშანაც მონაწილეობდა.

ოთარ გაბელიაც ძირითადი ბირთვის შეკვრას ამ ტურნირამდე აპირებს: „ვინც დამხვდა, ყველა თანახმაა გუნდში დარჩეს, ამათ რამდენიმე ახალწვეულიც დაემატება და ჩემპიონატისთვის ეს გუნდი მოემზადება“ — გვითხრა გაბელიამ.

ძახა შალამბერიძე

გიორგი ნემსაძე ფოტო

კაპიტნის უდიდესი დარდი

არ ვფიქრობ სიბერეზე: ჩემთვის ახალი ეტაპი და მოლოდინი იწყება

გაკოტრებული „დანდიდან“ წამოსული გიორგი ნემსაძე საქართველოში რომ გააგრძელებს თამაშს, ადრეც გაუწყეთ. გუშინ კი ეროვნული ნაკრების კაპიტანი რედაქციაში ვისტუმრეთ საინტერვიუოდ — ევროპამოვლილი ნემსაძე საქართველოში ბრუნდება, მის კარიერაში უცნაური ეტაპი იწყება, თუმც გიორგის სპორტული გამოწვევა და მოტივაცია კვლავაც აქვს. მაშ, ნემსაძე, როგორც საქართველოს ჩემპიონატისთვის შემართული ფეხბურთელი, ვინც „დინამოში“ ან „თბილისში“ ჩაირიცხება და... ნაკრებიც, თავისი ტვირთითა და მოლოდინით

— უცხოეთიდან დაბრუნებულს არ გაგიჭირდება საქართველოში თამაში? აქ ხომ სულ სხვა აურა, სხვა სტრუქტურა და სხვა სიტუაციაა...

— ეგრეა, მაგრამ ფეხბურთის თამაში ხომ აქ დავიწყე და მეც ძველ გარემოს ვუბრუნდები — უნდა დავძლიო ადაპტაციის სირთულეები. თანაც მიმაჩნია, რომ ჩემი გამოცდილებით ახალგაზრდა ფეხბურთელებს რამეს შევმატებ. შემეძლო შოტლანდიურ გუნდებში გადასვლა — „ჰიბერნიანი“, „დანფერმლაინი“, „აბერდინი“, ხოლო ინგლისური პრემიერლიგის „პორტსმუთში“ ორი ვარჯიშიც ჩავატარე, მწვრთნელიც კმაყოფილი იყო, მაგრამ ისეთი პერსპექტივა დარჩა, რომ თუ რომელიმე ამ გუნდში გადავიდოდა, მხოლოდ უნდა მეარსება და ფეხბურთი მეთამაშა — დაბალი ანაზღაურება შემომთავაზეს.

— წლეულს 32 წლის გახდები. ახლა ისეთი ტენდენციაა, რომ ევროპაში 35-36 წლის ფეხბურთელები კვლავაც მაღალ დონეზე თამაშობენ — როგორ ფიქრობ, შენც შეძლებ ამას?

— იმის შიში არ მაქვს, რომ მაღალ დონეზე ვეღარ ვითამაშებ. აქ ფსიქოლოგიური ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია. თუ იმაზე იფიქრებ, რომ დაბერდი და თამაში გაგიჭირდება, ვერ ითამაშებ — უნდა იფიქრო იმაზე, რომ 3-4 წელი კიდევ ითამაშებ. ხანდაზმული ფეხბურთელები დიდ გუნდებშიც თამაშობენ და პირველ რიგში გამოცდილების ხარჯზე ახერხებენ ამას. თუმც ვარჯიშების თანამედროვე სისტემა, სწორი კვება და კარგი ფარმაკოლოგიაც ეხმარება ფეხბურთელს ასაკის დაძლევაში — ყველაფერი სწორად რომ არის ჩამოყალიბებული, ამიტომაცაა შექმნილი ასეთი ტენდენცია.

— მოკლედ, თავს სრულიად მხნედ გრძნობ და მიგაჩნია, რომ ნაკრებშიც გააგრძელებ თამაშს? ვეტერანებიდან გუნდს შენ, გოჩა ჯამარაული და შოთა არველაძე შემორჩით — ზოგს ჰგონია, რომ თქვენ ნაკრებში აღარ უნდა ითამაშოთ...

— მზად უნდა იყო იმისთვის, რომ როდესაც ფეხბურთთან და ნაკრებთან განშორება მოგიწევს. ნაკრებს ჰქონდა ჩავარდნები და თუ მწვრთნელი ვიღაცეების გუნდიდან გაშვებას გადაწყვეტს, ეს პრობლემა სულაც არაა. თუმც გუნდს ერთი-ორი ფეხბურთელი კი არა, 16-20 კაცი ქმნის მწვრთნელების ჩათვლით. რა თქმა უნდა, თუ ნაკრებში აღარ მიმიწვევენ, გული დამწყდება. ფეხბურთი შვილივით მიყვარს, რადგან ფეხბურთი და მე ერთად ვიზრდებოდით. ახლა ორი თვის უთამაშებელი კი ვარ, მაგრამ ზოგადად თავს აბსოლუტურად კარგად ვგრძნობ, მათ შორის ნაკრებისთვისაც.

— იმ ნაკრებისთვის, რომელშიც ყველაზე მეტჯერ გითამაშია და ერთხელაც არ გაგიტანია გოლი...

— ეს ჩემი ყველაზე დიდი დარდია — ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმაზე, თუ რამდენი მომენტი მქონდა და რატომ ვერ გავიტანე. დიდი იმედი მაქვს, რომ სანაკრებო კარიერას უგოლოდ არ დავასრულებ. წინა შესარჩევი ციკლის ბოლო თამაშებზე გუნდში ვთქვი კიდეც, თუ პენალტი დაინიშნება, მე უნდა დავარტყა, არ აქვს მნიშვნელობა იმას, გავიტან თუ ვერა, მაგრამ მე უნდა დავარტყა — ეს ხუმრობანარევი სიმართლეა.

— შოტლანდიაზე გადავერთოთ: რა დაემართა „რეინჯერსს“?

— ფეხბურთელთა ტრავმებს ისიც დაერთო, რომ ზოგიერთი ახალწვეული გუნდს ვერ მოერგო.

— საკამათო იყო ზურაბ ხიზანიშვილის „დანდიდან“ „რეინჯერსში“ გადასვლის ავკარგიანობა — ზოგს მიაჩნდა, რომ ხიზანიშვილი „რეინჯერსზე“ უკეთეს გუნდში უნდა გადასულიყო, თუმც ჩემპიონთა ლიგის თამაშებმა გვაჩვენა, რომ ზურას კიდევ დარჩა რაღაც-რაღაცეები დასახვეწი...

— ზურასთვის „რეინჯერსში“ გადასვლა სასარგებლო გამოდგა — ის დაცვის ლიდერად ითვლება, კრეიგ მურსა და ჰენინგ ბერგს არაფრით ჩამოუვარდება და წლის თუ წელიწადნახევრის შემდეგ მისი ლიდერობა აშკარად გამოიკვეთება — მაშინ დადგება ზურას უკეთეს გუნდში გადასვლის დროც. რაც შეეხება შოთას, ის „რეინჯერსის“ ლიდერია.

— შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევ?

— ჰენრიკ ლარსონს, ვინც ძველებურად ველარ ბრწყინავს, ასე ვთქვათ, გახუნდა, მაგრამ მაინც. ფეხბურთში მწვერვალზე ყოფნა ხომ უფრო ძნელია, ვიდრე იქ ასვლა.

— ნაკრებს დავუბრუნდეთ — როგორ ფიქრობ, როდის ჰქონდა გუნდს შედარებით უკეთესი პერიოდი?

— პირველი ციკლის დროს და მაშინ, როცა მომდევნო ციკლში გუნდი დავით ყიფიანმა ჩაიბარა — მაშინ ჩვენ მეტ-ნაკლებად შეკრულ გუნდს წარმოვადგენდით.

— მერედა, რა პერსპექტივა ჰქონდა მაშინ ნაკრებს — ყიფიანი რომ არ ჩამოეშორებინათ გუნდისთვის, რას მიაღწევდით?

— რახან გუნდის შეკვრა მოვახერხეთ, ესე იგი, პოტენციალი გვქონდა. ვინ იფიქრებდა, რომ ლატვია ევრო 2004-ზე მოხვდებოდა? ლატვიელებმა ეს პირველ რიგში იმით მიაღწიეს, რომ შეკრული გუნდის შექმნა მოახერხეს.

— წინა შესარჩევში ერთი გემრიელი გამარჯვება მაინც მოვახერხეთ — რუსებს 1:0 მოვუგეთ — ეს მთლიანად გუნდის დამსახურება იყო, მაგრამ უფრო ვისი — ივო შუშაკის თუ ფეხბურთელების?

— 50/50-ზე. ისიც უნდა ვთქვა, რომ შექმნილმა აურამაც იმოქმედა ჩვენზე.

— რუსებს მოსკოვშიც ვეთამაშეთ და 1:3 წავაგეთ...

— რაღაც ლაპარაკი რომ ატყდა, მწვრთნელ-ფეხბურთელებმა რუსებს ეს თამაში დაუთმესო, შვილებს გეფიცებით, მსგავსი არაფერი ყოფილა. რუსებმა რომ გაათანაბრეს, ბულიკინთან პოზიციური შეცდომა დავუშვი, ოდნავ წინ გამოვედი, მაგრამ ხელოვნური თამაშგარეს შექმნა ველარ მოვასწარი — ფლანგიდან ერთი შეხებით ჩაგზავნა ბულიკინს, რომელიც ჰაერში. ისე აიწია საგოლე თავუჩისთვის, რომ ხელს ველარ შევუშლიდი.

— საუკეთესო წლები უკანაა — რა არის ახლა შენი, როგორც ფეხბურთელის მოტივაცია?

— მოტივაცია იქიდან მოდის, სადაც თამაშობ. შოტლანდიაში მსურდა კარიერის დამთავრება, „დანდიში“ კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა მეთამაშა. შემეძლო, უცხოეთის ქვედა ლიგებში მეთამაშა და საქართველოს საუკეთესო გუნდებში რომ არის, იმაზე უკეთესი პირობებიც მექნებოდა, მაგრამ მაინც საქართველოში თამაში ვარჩიე — ნაკრების მწვრთნელის თვალთახედვის არეში ასე უფრო ვიქნები — ერთი სიტყვით, ნაკრებზე კვლავაც სერიოზულად ვფიქრობ.

— ნაკრებს ალბათ ანრი მიშელი გაწვრთნის — ასეთი ქარიზმატული მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს ჯერ არ ჰყოლია...

— მიშელი მართლაც ძალიან სერიოზული სპეციალისტია, თანაც ფრანგი და ფრანგული ფეხბურთი რა დონეზეა, ყველამ ვიცით. ძალიან საინტერესოა ასეთი რანგის მწვრთნელთან მუშაობა — ჩემს კარიერაში მიშელის დარ. სპეციალისტთან არასდროს მიმუშავია და მაინტერესებს, რა სხვაობას დავინახავ მასსა და იმ მწვრთნელებს შორის, რომლებთანაც მანამდე მქონდა ურთიერთობა — ეს ჩემთვის ახალი ეტაპია და მოლოდინიც დიდია.

დავით თავართქილაძე

კიდევ სამი წელი?

იაშვილს მოსაფიქრებლად ორი კვირა დარჩა

იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმა“ საშუალეზონო შეჯრების პირველი ეტაპი პორტუგალიაში გაიარა, ხოლო შინ გუშინწინ დაბრუნდა. ალექსანდრე იაშვილსაც ამად შეეხმიანეთ

— პორტუგალიაში ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ — „დუისბურგს“ 2:1 მოვუგეთ, ხოლო პორტუგალიის მეორე დივიზიონის ერთ-ერთ გუნდთან 0:0 ვითამაშეთ. შაბათს კი ფრაიბურგში შვეიცარიულ „გრასჰოპერს“ შევხდებით.

— ერთ-ერთი საგენტოს ცნობით, იაშვილი საცაა „ჰამბურგში“ გადავაო...

— მართალი არ არის, მსგავსი არაფერი ხდება. ამ სეზონს „ფრაიბურგში“ ჩავამთავრებ.

— მომდევნო სეზონში სხვა გუნდში გადახვალ?

— გააჩნია, რა შემოთავაზება იქნება. „ფრაიბურგის“ დარ ან მასზე ოდნავ სუსტ გუნდში არ გადავალ.

— „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობა რას გთავაზობს?

— კონტრაქტის გაგრძელებას. ახლანდელი ხელშეკრულება „ფრაიბურგთან“ სეზონის დამთავრების შემდეგ მეწურება.

— პასუხი როდის უნდა უთხრა „ფრაიბურგს“?

— ამ თვის ბოლოს. „ფრაიბურგი“ სამწლიან კონტრაქტს მთავაზობს.

დავით თავართქილაძე

ზიზუმ ეიბარი აიფარა

პაოლო მონტერო ფოტოგრაფებმა დაამუნჯეს



ზინედინ ზიდანი ტურინის სასამართლოში იყო დაბარებული, მაგრამ არ მივიდა. ფრანგი ვარსკვლავი ხომ 2001 წლამდე „იუვენტუსში“ თამაშობდა და წესით ამ კლუბის აღმასრულებელი შეფის, ანტონიო ჯირაუდოსა და ექიმის, რიკარდო აგრიკოლას საქმეზე იტალიაში უნდა ჩასულიყო, მაგრამ ერთ თვეში უკვე მეორედ აარიდა თავი. არჩასვლის მიზეზად იგი ფრიად გასაგებ მოუცლელობას, უფრო კორექტულად კი, „პროფესიულ ვალდებულებებს“ ასახელებს, ხოლო საქმე, უფრო სწორად კი სასამართლო პროცესი ძველ თემას, ფეხბურთელებისთვის აკრძალული წამლების ანუ დოპინგის შეძლევას ეძღვნება.

მოსამართლე ჯუზეპე კასალბორემ დარბაზში 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის (ფიფას ვერსიით) წერილი გახსნა, სადაც ზიდანი ბოდიშს იხდიდა, რომ ესპანეთის თასზე „რეალისა“ და მეორე დივიზიონის გუნდ „ეიბარის“ შეხვედრის გამო სასამართლოზე ჩასვლას ვერ ახერხებდა. წერილშივე ეწერა, რომ იგი მზადაა პროცესს შეეხმიანოს ვიდეოკონფერენციით, ტელეფონით ან ესპანეთში.

ზიდანის მიზეზს ვერაფრით მოიტანდნენ დღეს „მილანის“ ფორვარდი ფილიპო ინძაგი (იგიც 2001-ში წავიდა) და „იუვენტუსის“ ურუგვაელი მცველი პაოლო მონტერო, რომლებიც დარბაზში მივიდნენ. სხვათა შორის, დეკემბერში მონტერომ ლაპარაკზე უარი თქვა, რადგან მის უკან ფოტო და კამერიანი ჟურნალისტების მთელი არმია იყო, რომლებიც მისი სიტყვების თანახმად, ხელს უშლიდნენ.

შემდეგი სხდომა 26 იანვარს გაიმართება.

პაპუნა კედია

ფილიპო ინძაგიმ და პაოლო მონტერომ სასამართლოს თავი ვერ აარიდეს

სებასტიან ფრეი

ყველას ვიღაც და რაღაც უნდა

ფრეიმ პარმა დაიფიცა, ლუსიანო კი ისევ ვირია

ლუსიანო

„პარმას“ ფრანგი მეკარე სებასტიან ფრეი ამბობს, რომ მიმდინარე სეზონის ბოლომდე კლუბიდან ფეხსაც არ მოიცვლის. შეგახსენებთ, რომ პარმელები სერიოზულ ფინანსურ კრიზისში არიან და მდგომარეობის გამოსასწორებლად რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვას ახლავე აპირებენ. სხვათა შორის, ფრეის შეძენით მდიდარი ინგლისური კლუბები, „ჩელსი“ და „არსენალი“ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ იგი ამბობს:

„ვიცი, ჩემი წაყვანა რამდენიმე კლუბს რომ სურს, მაგრამ მინდა პარმელი ქომაგები დავარწმუნო, რომ მე სეზონის ბოლომდე აქ ვიქნები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დაუყოვნებლივ შესაძლოა, მხოლოდ ადრიანო გაჰყიდონ, თუმცა ეგეც ძალიან მეეჭვება“.

სხვა იტალიურ ცნობათაგან ყურადსაღებია „იუვენტუსის“ ინტერესი „დორტმუნდში“ მოთამაშე ჩეხი ტომაშ როსიცკისადმი. როსიცკი 23 წლისაა, ხოლო დორტმუნდელებს ფულის საშოვნელად მისი გაყიდვა უნდათ. კიდევ, ჭორების თანახმად, ტურინელთა დირექტორის, ლუჩანო მოჯის სიაში „მონაკოს“ ორი კაცი, მცველი სკილაჩი და ნახევარმცველი ევრაც არიან.

რაც შეეხება „პერუჯას“ მეკარე კალაჩს, მისი შეძენა „ფიორენტინას“ ნდომებია და ამ საქმეში მზადაა სამი მილიონ ევროზე მეტი გადიხადოს, თუმცა სანაცვლოდ სეიასის იქით მისესხებაც განუზრახავს, „უდინეზეს“ გერმანელი თავდამსხმელი კარსტენ იანკერი კი, არ არის გამორიცხული, ესპანეთში გადაბარგდეს. მას „მურსია“ ეპატიჟება.

ორშაბათს „კიევოს“ დაუბრუნდა გარემარბი ლუსიანო, რომელიც „ინტერში“ გამოდიოდა. 28 წლის ბრაზილიელი „შავ-ლურჯებმა“ შარშან ივლისში ითხოვეს „მფრინავი ვირებისგან“, თუმცა საყიდლად აღარ მოსწონებიათ. ლუსიანო მილანში წინა მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა მიიყვანა და კრისტიან ვიერისთვის ფრთიდან ბურთის ჩაწოდება დაავალა, ხოლო კუპერის შემცვლელს, ალბერტო ძაკერონის, როგორც გაირკვა, იგი საერთოდ არ სჭირდება.

ვინც ვერ მიხვდა თუ ვისზეა საუბარი, მოვახსენებთ, რომ ეს ის ლუსინოა, რომელიც ადრე ერიბერტო იყო და პასპორტში სახელისა და ასაკის მოტყუების გამო საყოველთაო ყურადღების ცენტრში გახლდათ.

პაპუნა კედია

ფილიპო ინძაგიმ და პაოლო მონტერომ სასამართლოს თავი ვერ აარიდეს

მოდი, ვითამაშოთ ერთად

ვიერიმ ადრიანოს დედამიწა დაუმტკიცა

კრისტიან ვიერი ამბობს, რომ ადრიანოსთან მხარდამხარ თამაშს შეძლებს, თუმცა ზოგადად, მომავალში თავის სხვა გუნდში გადასვლასაც არ გამორიცხავს.

„სამ-ოთხ წელიწადში ადრიანო დედამიწის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იქნება. ამასთან, ვგონებ, მომავალ სეზონში მე და ის პარტნიორობას შევძლებთ, თუმცა თუ „ინტერი“ მთელ ყურადღებას მხოლო მისკენ მიაპყრობს, მაშინ მე ყოველგვარი წყენის გარეშე გავაკეთებ იმას, რასაც კლუბი ინებებს. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ვრჩები, სეზონის ბოლოს კი პრეზიდენტს შევხვდები და ყველაფერს გავარკვევ. თუ წასასვლელი შევიქნები, ვფიქრობ ახალი კლუბის შერჩევა მაინც გამიჭირდება“ — თქვა ვიერიმ, ხოლო ბრაზილიელს „სან სიროზე“ ზაფხულზე ელიან. მოგეხსენებათ, ბოლო 18 თვის განმავლობაში იგი „პარმაში“ ბრწყინავდა.

არის ხმები, რომ ადრიანო შესაძლოა, ახლავე გადავიდეს „ინტერში“, მოგეხსენებათ, „პარმა“ ფინანსურ გასაჭირშია და ფეხბურთელების გაყიდვა სჭირდება, მაგრამ ვიერი აცხადებს, რომ „შავ-ლურჯებს“ ამჟამად ახალი ფეხბურთელი ნამდვილად არ სჭირდებათ.

„არა მგონია, ყოველი ცალკეული თამაშის წაგების შემდეგ ახალი ხალხის ყიდვა იყოს საჭირო. თამაშის დროს მოთმინებით უნდა აღიჭურვო თუნდაც კლუბში მოთმინების უნარი საერთოდ არავის ჰქონდეს. თუ არ გაქვს იმედი, რომ ჩამორჩენას გამოასწორებ და ლიდერს დაეწევი, თამაშს თავი უნდა დაანებო“ — დასძინა ვიერიმ.

პაპუნა კედია



ადრიანოს „ინტერში“ სავარაუდო გადასვლას
კრისტიან ვიერის სავარაუდო წასვლა შეიძლება მოჰყვეს

პორტუგალია

სუპერლიგა. XVII ტური

ბეირა მარი 1:1 ჟილ ვისენტე

0:1 ჟ. ფერეირა (39), 1:1 ვიინჰარდი (76პ)

პორტუ	17	14	3	0	39:11	45
სპორტინგი	17	13	1	3	33:17	40
ბენფიკა	17	10	4	3	34:17	34
ბრაგა	17	10	3	4	20:16	33
ბეირა მარი	17	9	3	5	26:20	30
მარიტიმუ	17	7	7	3	18:15	28
ბოავიშტა	17	7	6	4	15:11	27
ნასიონალი	17	7	2	8	26:18	23
ჟილ ვისენტე	17	5	6	6	25:21	21
რიუ ავე	17	5	6	6	18:15	21
მორეირენსე	17	5	4	8	14:22	19
ბელენენსეში	17	4	6	7	21:29	18
ლეირია	17	5	3	9	21:30	18
ალვერკა	17	5	2	10	18:24	17
აკადემიკა	17	4	3	10	14:21	15
გიმარაეში	17	3	5	9	18:25	14
ფერეირა	17	4	1	12	9:27	13
ამადორა	17	3	1	13	12:42	10

საფრანგეთი

II დივიზიონი. XX ტური

ანჟერი 1:2 ამიენი

ისტრი	21	12	4	5	23:9	40
სენტ ეტიენი	21	11	4	6	21:15	37
კაენი	21	9	9	3	29:18	36
ამიენი	20	10	6	4	22:13	36
ლორიანი	20	10	4	6	35:21	34
ნიორი	21	8	8	5	26:19	32
ტრუა	21	8	8	5	24:21	32
შატორუ	21	8	7	6	29:27	31
ლე ავრი	20	8	6	6	23:19	30
სედანი	21	6	11	4	15:15	29
ნანსი	21	6	10	5	22:19	28
კლერმონი	21	5	10	6	24:33	25
კრეტეი	21	4	11	6	21:23	23
ვალანსი	21	5	7	9	21:30	22
ანჟე	20	4	8	8	19:25	20
გენიონი	21	3	10	8	20:28	19
ბეზანსონი	21	4	7	10	16:27	19
გრენობლი	21	3	9	9	16:22	18
ლავალი	21	3	9	9	21:31	18
რუანი	21	2	10	9	15:27	16

ოსკარი ორისთვის

ტოტიმ და ნედვედმა იტალია გაინაწილეს

იტალიაში საფეხბურთო ოსკარები ჩამოარიგეს, ანუ 2003 წლის საუკეთესოები დაასახელეს. გამოკითხვა თავად ფეხბურთელთა შორის მოეწყო.

წლის საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად ფრანჩესკო ტოტი დაასახელეს, სერია A-ში მოთამაშე საუკეთესო უცხოელად კი „ოქროს ბურთის“ მფლობელი ჩეხი პაველ ნედვედი.

როცა ეროვნების განურჩევლად წლის საუკეთესო ფეხბურთელობაზე ხმები დაითვალეს, უცნაური შედეგი მიიღეს. აღმოჩნდა, რომ იმავ ტოტიმ და ნედვედმა ხმები თანაბრად გაინაწილეს და, შესაბამისად, ჯილდოც შუაზე გაიყვეს.

ნედვედის პრიზების გარდა იუვენტუსელებმა კიდევ ორი ჯილდო მიიღეს. ჯანლუიჯი ბუფონი საუკეთესო მეკარე გახდა, მარჩელო ლიპი კი საუკეთესო მწვრთნელი.

ტოტის რომაელი თანაგუნდელი ანტონიო კასანო საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო მილანელი ალესანდრო ნესტა საუკეთესო მცველად მიიჩნიეს.

საუკეთესო მსაჯი კი, არ გაგიკვირდებათ, პიერლუიჯი კოლინა გახდა.

კოტე კეკელია

პლატინიმ იუვენტუსი დეშანს ჩააბარა



დიდმა მიშელ პლატინიმ თქვა, მოვა დრო და დიდიე დეშანი „იუვენტუსის“ მწვრთნელი გახდებაო.

ცხადია, პლატინი ამას ჰარი-ჰარალოზე არ იტყოდა, ანუ „იუვენტუსში“ მწვრთნელის შეცვლის საკითხზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ „სკუადრა აძურას“ ახლანდელ თავკაცს, მცხოვან ჯოვანი ტრაპატონის ევრო 2004-ის მერე პენსიაზე გასვლა უწინასწარმეტყველეს. აქედან გამომდინარე ლოგიკურად გაჩნდა კითხვა: ვინ გახდება იტალიის ნაკრების შემდეგი მწვრთნელი? პასუხად ფეხბურთის მცოდნეთა დიდმა ნაწილმა მარჩელო ლიპისკენ გაიხედა. ხოლო ამის მერე კიდევ ერთი ლოგიკური კითხვა გაჩნდა: ლიპი თუ ნაკრებს ჩაიბარებს, „იუვენტუსში“ ვინ მივა?

მიშელ პლატინი ამბობს, რომ დიდიე დეშანი.

„მონაკოდან“ „იუვენტუსში“ გადასვლა უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია. მე მწამს, რომ დიდიეს ამ უდიდესი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია. მართალია, „იუვეს“ მწვრთნელობამ ბევრად მეტ გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე „მონაკოსთვის“ არის საკმარისი, მაგრამ დეშანის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. სულ მალე ის დიდი მწვრთნელი გახდება“ — თქვა პლატინიმ.

დავძინოთ, რომ ლიპის „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2005 წელს ეწურება, პლატინი და დეშანი კი ძველი იუვენტუსელები არიან.

მყვირალა გატუზოს სამი სურვილი

მალდინის კარიერა, პირლოს ტექნიკა, რობერტო კარლოსის დარტყმა

ჯენარო გატუზო 26-წლისა მოიყარა. ვფიქრობთ, ასე დაწყება უფრო უპრიანი გამოვიდა, ვიდრე ის იქნებოდა, გატუზოს წარდგენა-გაცნობა რომ დაგვეწყო. გატუზოს წარდგენა ნამდვილად აღარ სჭირდება და არა იმიტომ, რომ მისი დარი ფეხბურთელი მეორე არ მოიძებნება (მეორეც მოიძებნება და მესამეც), არამედ იმიტომ, რომ მეტისმეტად თავისებური, კოლორიტული პიროვნებაა, მილანელი ქომაგების რჩეული.

— მე დავრბივარ გიჟივით? არა, ბატონო, ეს სხვები დასეირნობენ — ხუმრობს ის

— მილანელი ქომაგების სიყვარული ასე მალე ბევრს არ მოუპოვებია.

— ფეხბურთელებმა პატივი უნდა ვცეთ იმ ადამიანებს, ტრიბუნებზე რომ სხედან. ისინი მთელი კვირა მუშაობენ, შემდეგ კი ბილეთის ფულს იხდიან, ესე იგი, მსხვერპლს იღებენ. ერთი სიტყვით, ვალში ვართ. ერთგულ ხალხს მადლიერებით მოპყრობა სჭირდება. მე მოედანზე ყოფნისას ერთიორად მამხნევებს იმის ცოდნა, რომ მხოლოდ ჰონორარს კი არ ვიმუშავებ, ვიღაცას სიამოვნებასაც ვანიჭებ.

— „მილანის“ მსგავს კლუბებში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძნელია, ძალიან დიდი კონკურენციაა. ეს ფეხბურთელებს შორის ურთიერთობას არ ძაბავს?

— მგონი წყენისა და შურის გარეშე მაინც არ გამოდის, თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ემონება ადამიანი თავის ემოციას. ხანდახან თავის შეკავება ძნელია, თუმცა მე თავს მუდამ იმას ვუმტკიცებ, რომ ამქვეყნად მარტო არ ვარ და ვალდებული ვარ, ნებისმიერ ვითარებაში თავი ხელში ავიყვანო. გარდა ამისა, ვცდილობ მხოლოდ ის ვილაპარაკო, რასაც ვფიქრობ. ალბათ, პარტნიორებთან ამიტომაც მაქვს საკმაოდ გაწონასწორებული ურთიერთობა.

— რომელ მილანელს მიიჩნევთ მეგობრად?

— ბროკის, აბიატისა და ამბროზინის. თავისუფალ დროს ხშირად ერთად ვატარებთ. გემრიელი დასვენება მიყვარს და ამიტომ ბევრს ზარმაცი ვგონივარ.

— ალბათ, არის რაღაც ისეთი, რაც პროფესიულ ფეხბურთში არ გიყვართ.

— ჭორები. ნერვებს მიშლის, როდესაც ჩვენგან რაღაც სხვას ხატავენ. მერწმუნეთ, მიუხედავად კარგი საბანკო ანგარიშისა, ლამაზი მანქანისა და ბინისა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ.

— სხვა ფეხბურთელებისგან რა თვისებას ითხოვებდი?

— პირლოს ტექნიკას ვთხოვდი, რობერტო კარლოსს დარტყმას, ხოლო მალდინის კარიერას.

— რას იტყვი პაველ ნედვედის „ოქროს ბურთზე“?

— მე „ოქროს ბურთს“ ჩვენს კაპიტანს, პაოლო მალდინის მივცემდი, სხვას კი, ვინც არ უნდა იყოს, ამ ჯილდოსთვის ხელის შეხების წინ ხელთათმანის ჩაცმას ვურჩევდი, რომ არ გასვაროს.

— თვითონ არ ოცნებობ „ოქროს ბურთზე“?

— საამისოდ „ფერარის“ ძრავივით უნდა ვიმუშაო. მხოლოდ ასე მომეცემა შანსი.

— ქომაგები რინალიოს ანუ მყვირალას გეძახიან. მომავალში პოლიტიკოსობას ხომ არ აპირებ? შენნაირი დაქოქილი კაცის წინააღმდეგ ბევრი ვერაფერს გახდებოდა.

— ეგ მეტსახელი არ მომწონს, მაგრამ რა ვქნა. როგორც მივეჩვიე, ისე ვთამაშობ. ჩემთვის ფეხბურთი ბრძოლაა, მე კი ბრძოლაში დათმობა არ მიყვარს. ცხოვრებაშიც ასეთი გახლავართ, ქედს არასდროს ვიხრი. თუ წინ სირთულეა, უნდა დავძლიო.

კონსერვატიული ლანძღვა-ბოდიში

ჰოვარდის ჰოლიტ-საფეხბურთო აჯაფსანდალი

ჟერარ ულიეს კრიტიკოსები არც აქამდე აკლდა, ახლა კი მათ ჯარს ინგლისის კონსერვატიული პარტიის ლიდერი მაიკლ ჰოვარდიც შეუერთდა. მთავარკონსერვატორი სათაყვანებელი გუნდის დაჩაჩანაკებამ ისე გაახელა, რომ პოლიტიკა კუთხეში მიაგდო და საჯაროდ დასჭექა: „რას ჰგავს ეს?! „ლივერპული“ ცხრილის შუაში როდემდე ეგდოს? უეჭველია, რომ დამნაშავე ერთი კაცია — ჟერარ ულიე. მას რაც უფრო ადრე მოხსნიან, „ლივერპულისთვის“ მით უკეთესი იქნება. ჩემი აზრით, ფრანგის ნაცვლად „სელტიკის“ მწვრთნელი მარტინ ონილი უნდა დანიშნონ. კლუბის ბოსებს ჭკუა თუ აქვთ, თვითონვე მიხვდებიან“.

ჰოვარდის გამოსვლის ტექსტი ჟერარ ულიემ რომ მოისმინა, ხურდა მოკლედ დაუბრუნა: „მე რომ ინგლისის მოქალაქე ვიყო, არჩევნებში კონსერვატიულ პარტიას ხმას არ მივცემდი“.

სიტყვიერი ბრძოლა მეორე დღეს დასრულდა, რადგან მაიკლ ჰოვარდმა ფრანგს მოუბოდიშა: „ალბათ მაპატიებს ულიე, ჩემში უეცრად პოლიტიკოსი კი არა, რიგითი გულშემატკივარი ალაპარაკდა. პირადად მივწერე მას საბოდიშო წერილი და ვალიარე, რომ მივქარე — მეტიც, „ასტონ ვილასთან“ ბრწყინვალე გამარჯვებაც კი მივულოცე“ — თქვა მთავარკონსერვატორმა და „ბრწყინვალე“ გამარჯვებაში ლივერპულელთა ნაცოდვილარი 1:0 ირონიულად „ჩააქსოვა“.

ვაჟა ხუციშვილი

ჟერარ ულიე კონსერვატიულად გალანძღეს

ნავალ, სერ

ნიკი ბათი მანჩესტერს ეკრვება

ნიკი ბათი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მიდის, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. გასარკვევი ისღაა, სად მიდის და რა ფასად. გუშინწინ ბათს და სერ ალექს ფერგიუსონს დიდხანს უსაუბრიათ და ფეხბურთელს მწვრთნელისა და მასწავლებლის დაყოლიება მოუხერხებია

ალექს ფერგიუსონი ნიკი ბათს შეელია

ამგვარად, „იუნაიტედის“ „ოქროს თაობა“ ნელ-ნელა მიდის და გზას ახალ თაობას უთმობს. ნიკი ბათი კი დევიდ ბექემის მერე მეორე ფეხბურთელია, ვინაც ბავშვობიდან მანჩესტერელი იყო და გუნდი დატოვა. გავიხსენოთ: ბექემი, ბათი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი, ფილ და გარი ნევილები ჯერ კიდევ პირზე რძე შეუმშრალი ბალღები იყვნენ, ალექს ფერგიუსონს რომ მიებარნენ.

თავად ფერგიუსონმა კი თქვა: „ნიკიმ გუნდიდან გაშვება მთხოვა. ეს ჩემთვის უაღრესად სამწუხარო ამბავია. მან უდიდესი სამსახური გაუწია გუნდს, მაგრამ მე მესმის მისი, ნიკის კვლავაც დიდი ფეხბურთის თამაში სურს, რისი საშუალებაც ჩვენთან ხშირად არ აქვს“.

და თუ რატომ არ აქვს, ამასაც ფერგიუსონი განმარტავს: „როი კინი 32 წლისაა, ოლე სოლსკიაერი 31 წლის, რაიან გიგზი ოცდაათის, პოლ სქოულზი — 29-ის, ნიკი ბათიც ამდენივესი. მათ კიდევ შეუძლიათ რამდენიმე წელი უმაღლეს დონეზე ითამაშონ, მაგრამ მე არ მაქვს უფლება გუნდის თამაში მხოლოდ ვეტერანებზე ავაწყო და ახალი თაობის აღზრდაზე არ ვიზრუნო. ამიტომ ახალი გუნდის შენება აქედანვე უნდა დავიწყო, რაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდებმა მოედანზე სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა შეავიწროვონ ვეტერანები. ეს თაობათა ცვლის ბუნებრივი, სწორი პროცესია“.

ახალი თაობის ფეხბურთელები კი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბლომად ჰყავს: ტიმ ჰოვარდი, რიო ფერდინანდი, კლებერსონი, უესლი ბრაუნი, დავიდ ბელიონი, ერიკ ჯემბა-ჯემბა, ჯონ ოში, კირენ რიჩარდსონი, დარენ ფლეტჩერი, დენი პიუ, ლაიამ მილერი, კრისტიანო რონალდო და „პსვ ეინდჰოვენიდან“ ახლახან გადაყვანილი 19 წლის არიენ რობენი.

ცხადია, რომ ნიკი ბათს სულ უფრო და უფრო იშვიათად მოუწევდა მოედანზე გასვლა. ფაქტები მოვიშველიოთ: „იუნაიტედმა“ ამ სეზონში 31 მატჩი ჩაატარა, ნიკი ბათმა მათგან მხოლოდ თერთმეტში მიიღო მონაწილეობა.

—ისე კი, ახლანდელი მანჩესტერელებიდან ბათზე მეტი მატჩი მხოლოდ რაიან გიგზს (571), გარი ნევილს (419), როი კინს (417) და პოლ სქოულზს (394) დაუგროვდათ. თავად ბათმა კი 372 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათი ბავშვობიდან მანჩესტერელია, პირველ გუნდში კი 1991 წლის 8 ივლისს ჩაირიცხა და ერთი წლის მერე, 1992 წლის 21 ნოემბერს არსენალ-ერლიგური დებიუტიც ჰქონდა. „მანჩესტერი“ „ოლდ ტრეფორდზე“ „ოლდემს“ ხვდებოდა. და თუ მის საუკეთესო მატჩებს გავიხსენებთ, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ლეგენდად ქცეული ფინალიც უნდა მოვიგონოთ. მაშინ „იუნაიტედს“ როი კინი და პოლ სქოულზი დისკვალიფიცირებული ჰყავდა და ბათი ნახევარდაცვაში შესაშურად გაისარჯა.

სხვათა შორის, წინა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს პელემ თქვა, ნიკი ბათი მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელთა შორის მოსახსენებელი კაციაო.

ნიკი ბათმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ 12 წელი ითამაშა და ახლანდელი კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა ეთამაშა. მას უკვე რიგიც დაუდგა: „ტოტენჰემი“, „ევერტონი“, „ბირმინგემი“. მისი ფასი კი დაახლოებით ხუთი მილიონი გირვანქაა.

ირაკლი ნინიძე

ფსიქო

ტილზე შემოწმება გსურთ? სამჯერ რადიოში ჩაისველა

სებასტიან დაისლერის დეპრესიისა და საავადმყოფოში მისი გადაყვანის ამბავი უკვე დაძველდა, რადგან ეს გასული წლის ბოლოს მოხდა. დაისლერი ამჟამად გამოკეთდა და ოტმარ ჰიცფელდის თქმით, ნაავადარი მალე გუნდს შეუერთდება.

გერმანელი ფეხბურთელის მსგავსად, ფსიქოლოგიურად შარშან ნოემბერში „მონპელიეს“ მეკარე რუდი რიუ „გადაიწვა“. 23 ნოემბერს, „აიაჩოსთან“ მატჩის (3:1) მეორე დღეს, რიუ ვარჯიშზე უეცრად მოცელილივით დაეცა



ივან კამპო

საკვირველია, მაგრამ მეკარის სამედიცინო შემოწმებამ საეჭვო ვერფერი აღმოაჩინა, რადგან ეს იყო სტრესი, ფსიქოლოგიური დატვირთვით გამოწვეული. „მსუბუქად სირბილის დროს, მოულოდნელად ისე დავსუსტდი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. თვალები დამიბნელდა, გავითიშე და ათ წუთში მომასულიერეს“ — თქვა რიუმ.

სტრესის მსხვერპლნი ხშირად მალავენ, რომ დროდადრო შეუძლოდ ხდებიან, რადგან მწვრთნელის და თანაგუნდელების ერიდებათ. მაგალითად, 2001 წლის 6 ოქტომბერს სტრესი ივან კამპოს დაემართა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ მატჩის წინ მადრიდელი მცველი ვისენტე დელ ბოსკესთან მივიდა და აკანკალებული ყბით უთხრა: „მე ვერ ვითამაშებ, თავს შეუძლოდ ვგრძნობ“.

ავადობის მიზეზი ფიზიკური კი არა, ფსიქოლოგიური გახლდათ, რადგან მანამდე, რამდენიმე ტურით ადრე, ივან კამპოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გულშემატკივრებმა უსტვინეს. შიშმა, რომ მოედანზე მის მორიგ შეცდომას კიდევ მოჰყვებოდა სტვენა, ლომისფაფრიან მცველს მუხლები კურდღელივით აუკანკალა.

მოგვიანებით ივან კამპო რადიოში მიიპატიჟეს. საუბრის დროს ფეხბურთელმა თავი ვერ შეიკავა და ბალღივით ატირდა, რადგან მსტვინავი „სანტიაგო ბერნაბეუ“ გაახსენდა.

„რეალის“ სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ მაშინ თქვა: „ივან კამპო საშუალო კლასის მოთამაშეა, ის ვარსკვლავი არაა და არც „რეალის“ სკოლის გამოზრდილია. გულშემატკივართა ჩვეულებრივ რეაქციას მისმა ნერვებმა ვერ გაუძლო.“

„მონპელიესა“ და მადრიდის „რეალს“ შორის სხვაობა დიდია, მაგრამ სტრესისგან არც ერთი გუნდის ფეხბურთელი არ არის დაზღვეული. ამ სფეროში გამოკვლევას ფრანგი სპეციალისტი ჟაკ კრევუაზიე აწარმოებდა. მან შეადგინა ტესტი, რომელსაც პირობითად „ტილის ტესტი“ უწოდა ფსიქოლოგიის პროფესორის საპატივცემულოდ. კრევუაზიემ შეიმუშავა მეთოდი და იგი განსაზღვრავს, თუ რამდენად მზადაა ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად და შეუძლია თუ არა შეებრძოლოს პოტენციურ სტრესს.

ფრანგმა ექიმმა ექვსი წლის მანძილზე (1994-2000) „ტილის ტესტზე“ 21-წლამდე სამი ათასი ფეხბურთელი შეამოწმა. „ეს ტესტი ძალიან სასარგებლოა. მაგალითად, შეგვიძლია გავიგოთ, როგორ რეაგირებს მოთამაშე წაგებაზე. ზოგს მიუფურთხებია მარცხზე, ზოგი მშობლებს ურეკავს და დარდს უზიარებს, ზოგი კი საკუთარ თავს ადანაშაულებს. ტიერი ანრიმ ჩვენთან სამჯერ გაიარა შემოწმება, მიკაელ სილვესტრი რომ მოვიდა, 17 წლის იყო და იგი ერთობ მყარი ფსიქიკის პატრონი აღმოჩნდა“.

1992 წელს ჟაკ კრევუაზიე „ველოდრომზე“ „მარსელის“ თამაშს დაესწრო, სადაც ფაბიენ ბარტეზის დებიუტი შედგა. ექიმი იმ მატჩს ასე იხსენებს: „ბარტეზი ძალიან ხშირად ცდებოდა, ბურთით ჟონგლიორობდა და სისულელეებს აკეთებდა, მაგრამ ახლა იგი საკუთარ თავს და ემოციებს შესანიშნავად აკონტროლებს. უთამაშებელი შეიძლება თვეში ერთხელ მიიწვიონ ნაკრებში, მაგრამ ბრწყინვალედ გაირჯება“.

„29 წლისაა ივან კამპო. ნახეთ, „ბოლტონში“ თითქოს ხელახლა დაიბადა, რადგან გარემო გამოიცვალა და ძალიან კარგად, სტაბილურად ათამაშდა“ — დასძინა კრევუაზიემ.

ვაჟა ხუციშვილი

ბინძურნო!

მაროტამ ფერგიუსონების მტრები მოიკითხა

გაზეთ „გარდიანის“ ჟურნალისტები ტიმ ჰოვარდის სატრანსფერო ამბავს „გამოეკიდნენ“ და ნიუიორკშიც კი ჩავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი მეკარის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლიდან ხუთი თვის შემდეგ, ჰოვარდის საქმის მომკვარახჭინებელმა აგენტმა, შვეიცარიელმა გაეტანო მაროტამ მონაკოში, მავან მაიკ მორისს 139 ათასი ევრო გაუგზავნა. მორისი ჯეისონ ფერგიუსონის ძმობილია, ჯეისონი კი ალექს ფერგიუსონის შვილი და საფეხბურთო აგენტია.

გაეტანო მაროტამ თქვა, ამ საქმეში უბრალო ვარო: „ვფიქრობ, ტიმ ჰოვარდის ტრანსფერისა და მასთან ჩემი კავშირის ამომქექავ ხალხს 139 ათასი ევროს წარმომავლობაზე მეტად ის სურთ, რომ როგორმე ფერგიუსონების ოჯახს სახელი გაუტეხონ. ეს არის უბინძურესი, უსაფუძვლო ბრალდება და თავის გასამართლებლად ბევრი ლაპარაკი არ მჭირდება, თავად ნახავთ ყველაფერს, როცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია გამოძიებას დაასრულებს. მე და მაიკ მორისი ბიზნეს-პარტნიორები ვართ და სულ ეს არის. ხალხი რაღაც-რაღაცეებს ურეკავს, ევროპაში ტიმ ჰოვარდის აგენტი მე გახლავართ“.

მაროტა ასე ჭიკჭიკებს, მისი ამერიკელი კოლეგა დენ სიგალი კი სხვანაირად, სიგალი სააგენტო „სპორტნეტის“ მფლობელია და ჰოვარდი მისი კლიენტი იყო. „გაეტანო მაროტასთან, ჯეისონ ფერგიუსონთან და მის „ელიტ მენეჯმენტის“ სააგენტოსთან, საერთო არაფერი მაქვს და არც რაიმე გვაკავშირებს“ — განაცხადა დენ სიგალმა, რომელმაც თავისი კომპანიის პატიოსანი იმიჯის შესანარჩუნებლად შვეიცარიელი აგენტისგან და მის მიერ მონაკოში გადარიცხული ფულისგან თავი შორს დაიჭირა.

ვაჟა ხუციშვილი

ტიმ ჰოვარდი

ქურდული ისტორიები

ხუან სებასტიან ვერონმა დიდი შიში ჭამა — ლონდონის სამხრეთ დასავლეთით, ბარნესში მდებარე მის მდიდრულ სახლში მაჩეტეთი შეიარაღებული მძარცველი შეძვრა და „ჩელსის“ მძინარე ვარსკვლავს იარაღი ყელზე მიადო

ჩქარა თვალ-მარგალიტი! ვერონმა ყაჩაღს სეიფი გაუღო



ვერონის გარდა შინ იყვნენ ფეხბურთელის ბავშვების დედა (ცოლს არ ვწერთ, რადგან დაქორწინებულნი არ არიან, ხოლო ორი შვილის დედისთვის მეგობარი გოგონობა ველარ გავიმეტეთ), სამი წლის ქალიშვილი იარა, ორი წლის ვაჟი დეიანი და კიდევ სხვა წევრები, როგორც ამბობენ სულ ექვსნი. მძარცველი არგენტინელს ბავშვების დახოცვით დაემუქრა და თვალ-მარგალიტი მოსთხოვა.

„ასეთი არასდროს არაფერი გადამხდენია — ამბობდა შემდეგ დაზაფრული ვარსკვლავი — ის კაცი რომ დავინახე აშკარად შევძრწუნდი, რისი მიცემაც შემეძლო, ყველაფერი გავატანე. როგორც გაირკვა, მას მხოლოდ თვალ-მარგალიტი აინტერესებდა, მე კი საკუთარ თავზე მეტად ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე ვღელავდი, პოლიციელებს დახმარებისთვის მადლობა მინდა ვუთხრა, ცოტა არ იყოს შევშინდი“.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვერონს მძარცველისთვის 50 ათასი გირვანქის საფასური ძეწკვეულბეჭდეული გაუტანებია, თუმცა ეს თანხა იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც მოვლენების შემდგომი განვითარება. კერძოდ, მძარცველმა ფეხბურთელის მიცემული განძი რომ ჩაიჯიბა, თეთრ ფურგონს მიაშურა და იქაურობას გაცილდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება შორს გადაკარგულიყო, იქვე, ბარნესში გააჩერა მანქანა, როგორც ჩანს, მონადირებული ნივთებისთვის თვალის მორიგი შევლება სურდა და გასაჩერებლადაც ფრიად მშვიდი ქუჩა აირჩია, მაგრამ... ჩაეძინა. ალბათ, რაიმეთი იყო გამობუჟბუჟებული.

მძარცველს ორი საათის შემდეგ გაეღვიძა, როდესაც უკვე პოლიცია ეძებდა, გაეღვიძა და აფორიაქდა, მიხვდა, რომ იქიდან უნდა გადაკარგულიყო, მაგრამ შორს ვერ წავიდა, რადგან იქვე რაღაც მოაჯირს შეასკდა. უცხო მანქანის ასეთ უცნაურ ქცევას კი იქაური მოსახლე თუ გამვლელი უცქერდა და პოლიციას შეატყობინა, ვიღაც მთვრალმა ვინმე არ იმსხვერპლოსო. პოლიციელები მივიდნენ და ნახეს გათიშული ადამიანი, რომელსაც ხელში საჭე ჩაებღუჯა, ჯიბეში კი თვალ-მარგალიტი ეწყო. იგი 35 წლის მშენებელი უეინ ჰეირლი აღმოჩნდა სამხრეთ ლონდონიდან.

პაპუნა კვიდა

2 მილიონი და საათების კოლექცია
რობერტო კარლოსმა სახლი ვერ დაიცვა

მადრიდული ლა მორალეხას მდიდრული უბანი სამხრეთამერიკელი ქურდბაცაცების ხშირი სტუმრობის ადგილია. ოკეანისგადაღმიდან ჩამოსული მშიერი ლათინოსები თავისი ხელმარჯვე ოსტატობით ესპანეთის სატახტოს წესრიგის მცველთა ფრიადი შეწუხების მიზეზი გამხდარან. ამას წინათ რამდენიმე ჩილელმა „ოსტატმა“ მადრიდის „რეალის“ სახელგანთქმული მცველის, რობერტო კარლოსის ხსენებულ რაიონში მდებარე ვილა მოინახულა. სამკაციანი ჯგუფი მაშინ შეიპარა ბრაზილიელი მობურთალის საცხოვრებელში, როდესაც ეს უკანასკნელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პრიმერადივიზიონის მე-18 ტურში „მურსიას“ თავდამსხმელების გაუვნებლებას ცდილობდა. ქურდებმა ხელს ორ მილიონამდე ფული (დოლარები, ევროები...) და ძვირადღირებული საათების კოლექცია გააყოლეს, რომლის ფასიც 60 ათას ევროს აღწევს.

პოლიციამ ქურდები გასულ პარასკევს. შესაბამისად, რობერტომაც აღიდგინა თავისი ჩილიური დანაკლისი — უკლებლივ ყველა საათი კვლავაც ფეხბურთელის ვილაში წიკწიკებს.

ლადო ხომერიკი



რობერტო კარლოსი: ნახე, ზიზუ, უსაათოდ დავრჩი

ხორვატიის ნაკრების ფორვარდ 29 წლის ივიცა მორნარის ხელში ჩასაგდებად ერთბაშად სამი კლუბი ნადირობს: ინგლისური „პორტსმუთი“, შოტლანდიური „რეინჯერსი“ და მისი ამჟამინდელი გუნდი ბრიუსელის „ანდერლეხტი“. საქმე ისაა, რომ ხორვატს „ანდერლეხტთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, ბრიუსელელები კი მას ახალ ხელშეკრულებას სთავაზობენ. მორნარი არ ჩქარობს და ბრიტანეთიდან ზემოხსენებული გუნდების სარფიან წინადადებასაც განიხილავს.

იტალიური კლუბები, „სიენა“ და „ანკონა“ მიმდინარე ზამთრის სატრანსფერო სეზონში უკვე მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. სერია A-ს აუტსაიდერმა „ანკონამ“ ორი ფეხბურთელი გადაიბირა — თავდამსხმელი კორადო გრაბი „ბლექბერნიდან“ და მცველი შონ სოლინო „ნაპოლიდან“. „სიენამ“ ასევე ორი ფეხბურთელი შეიმატა: სიმონე ვერგასოლა „ტორინოდან“ და კონსტანტინოს ლუმბუტისი „პერუჯადან“.

ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი ნიკო კრანჩარი საკუთარი კლუბის, ზაგრების „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი იურჩევიჩმა გააკრიტიკა. იურჩევიჩმა საჯაროდ გალანძღა კრანჩარი და დაჯარიმებითაც დაემუქრა. მიზეზი, ფეხბურთელის თავქარიანობაა: იგი დაუკითხავად ჩამოშორდა ჰამბურგში, ფუტზალში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მყოფ „დინამოს“ და გვარიანადაც მოილხინა. კრანჩარმა არაფრად ჩააგდო მწვრთნელის გაბრაზება და თქვა — ჯარიმას დამაკისრებენ თუ არა, სრულებით არ მაინტერესებს, რადგანაც გერმანიაში დრო ბრწყინვალედ გავატარეო. აქვე გეტყვით, რომ მას რუსეთის ჩემპიონი მოსკოვის ცსკა ეპატიჟება და არმიელები მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ სოლიდური თანხაც გადაიხადონ.

იტალიური „მილანი“ 2003 წლის საუკეთესო კლუბად ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამაც აღიარა. ეს ფედერაცია ამგვარ გამოკვლევებს 1984 წლიდან ატარებს და მათი მიხედვით „შავ-წითლები“ საუკეთესოდ უკვე მეორედ სახელდებიან. პირველად ეს 1995 წელს მოხდა. მეორე ადგილი მადრიდის „რეალს“ ერგო, ხოლო მესამეზე ბრაზილიური „სანტოსი“ გავიდა.

თურქეთის ეროვნული ნაკრების მეკარე რუშთუ რეჩბერი შესაძლოა, „ბარსელონას“ გამოეთხოვოს და ყოფილ კლუბ „ფენერბაჰჩეში“ დაბრუნდეს. რუშთუს „ბარსაში“ სათადარიგოობა არ სურს და რაიკარდის საქციელს საჯაროდ აპროტესტებს, თუმც ჰოლანდიელი აზრის შეცვლას არ აპირებს. გახსოვთ, ალბათ, რაიკარდმა რუშთუს შანსი მისცა და რამდენიმე მატჩში ძირითად შემადგენლობაშიც დაყენა, მაგრამ თურქმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და „ბარსას“ პირველ მეკარედ კვლავ ვიქტორ ვალდესი იქცა. „რუშთუს არ გაუმართლა იმ მატჩებში, როდესაც იგი ჩვენს კარს იცავდა. იგი ნამდვილი პროფესიონალია, მაგრამ ახლა რთული პერიოდი უდგას და საუკეთესო ფორმაში არ გახლავთ. ამიტომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ ვანდობ. მისი ადამიანური გრძნობები კარგად მესმის და არ გამოვრიცხავ, რომ მან კლუბის შეცვლა გადაწყვიტოს“ — განაცხადა რაიკარდმა. რუშთუმ კი თავის მხრივ აღნიშნა, ჩემი უთამაშებლობით შეიძლება ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც დავკარგო ადგილი, რაც ნამდვილად არ მინდაო.

ნიგერიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ვიქტორ იკპება ბელგიურ „შარლერუაში“ გადაბარგდა. ამ ტრანსფერის ინიციატორი „შარლერუას“ მწვრთნელი რობერ ვასეჟია. სწორედ ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა იკპება, როდესაც ასევე ბელგიურ „ლიეჟს“ წვრთნიდა. აფრიკელი ფორვარდის აღმასვლა 1989 წლიდან სწორედ „ლიეჟში“ დაიწყო, კარიერის საუკეთესო წლები კი ფრანგულ „მონაკოში“ გაატარა, რომლის რიგებშიც 170 მატჩი ჩაატარა საფრანგეთის ჩემპიონატში და 55 გოლი გაიტანა. 1997 წელს ვიქტორ იკპება აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ხორვატიის ნაკრების 28 წლის მცველი ბორის ჟივკოვიჩი უკლუბოდ დარჩა. ჟივკოვიჩი გასულ ზაფხულს ლევერკუზენის „ბაიერიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა ინგლისურ „პორტსმუთში“ და მიმდინარე სეზონში უკვე 19-ჯერაც ითამაშა ლონდონელთა მაისურით. თუმც, კლუბსა და ფეხბურთელს შორის გარკვეულმა უთანხმოებამ იჩინა თავი, რის გამოც მხარეებმა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტეს. ხელშეკრულებით კი ჟივკოვიჩს კიდევ ორნახევარი წელი უნდა გაეტარებინა „პორტსმუთში“.

ნახვამდის ძნელია

მაურო სილვას დაბადების დღეზე ერთი წელი აჩუქეს

მაურო სილვა ბოლომდე გალისიური „დეპორტივოს“ ერთგული დარჩა. ბრაზილიურ „გუარანში“ (1986-1988) და „ბრაგანტინოში“ (1988-1992) მრავალ ბრძოლა-გადახდილი ვეტერანი უკვე 12 სეზონია, რაც ლაკორუნიული ინჩადის სათაყვანო კერპი გამხდარა.

„რკინის მაურომ“ მთელი ამ ხნის განმავლობაში „რიასორზე“ ოდენ ერთი, კენტი გოლით იხეირა (1993-1994), მაგრამ 410-მატჩიანი შესანიშნავი კარიერით „დეპორის“ ნამდვილ სიმბოლოდ ჩამოყალიბდა. სილვას რამდენიმე დღის წინ 36 წელი შეუსრულდა — ამ ასაკში ნებისმიერ, თუნდაც „რკინის“ მობურთალს, პროფესიულ სპორტთან განშორებაზე სევდიანი ფიქრი უწევს. თუმცა გალისიური ფლაგმანის ხელმძღვანელობამ და თავად ბრაზილიელმა ერთგულ ქომაგთა დამწუხრება დროებით გვერდზე გადადეს — გამოცდილმა ნახევარმცველმა ხავიერ ირურეტას გუნდთან კიდევ ერთი წლით განაახლა კონტრაქტი. „რიასორის“ რაინდს ესპანური „ლიბრედირექტო“ ესაუბრა.

— კმაყოფილი ხართ კიდევ ერთი სეზონით „დეპორში“ რომ რჩებით?

— დიახ. მიხარია, ასე რომ მოხდა. გუნდის პრეზიდენტთან სერიოზული საუბარი მქონდა და 2005 წლამდე, ესე იგი, ალბათ კარიერის დასასრულამდე „დეპორტივოში“ ვიქნები. რთული გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ გამოგიტყდებით, ამ ნაბიჯს ყველანაირად ვამართლებ. თანაც ხელშეკრულების განახლება ჩემს დაბადების დღეს დაემთხვა. ბედნიერი ვარ, ფეხბურთს საყვარელი გუნდის მაისურით დავემშვიდობები.

— პრეზიდენტი ლენდოირო უყოყმანოდ დათანხმდა თქვენთვის კიდევ ერთი, „საიუბილეო“ წლის მოცემაზე...

— ჩემი ცხოვრება უკვე ისეა ლა კორუნიასთან გადაჯაჭვული, რომ კლუბს ბებერ მაურისთან ნახვამდის თქმა ეძნელება... ეს ხუმრობით, ისე კი, დაბადების დღეზე მართლაც შესანიშნავი საჩუქარი მივიღე — „დეპორტივომაც“ და ინჩასებმაც სრული ნდობა გამომიცხადეს. ჩემს ასაკში ძნელია იდეალურად თამაში, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, გულშემატკივარი კვლავაც გავახარო. „დეპორს“ იმდენი დამსახურება მიუძღვის მაურო სილვას წინაშე, რომ ეს ზღვაში წვეთი იქნება იმასთან შედარებით, რაც შემიძლია ამ გუნდის სასიკეთოდ გავაკეთო.

— ამ ჰარმონიაში ერთი პატარა სევდაც ურევია — 2005-ის შემდეგ მაინც მოგიწევთ „რიასორთან“ გამოთხოვება...

— სამწუხაროდ, დიდი სპორტი ასეთია და ადრე თუ გვიან ყველა მოთამაშეს უწევს თავის არასაფეხბურთო მომავალზე ფიქრი. აბა, თავად განსაჯეთ — უკვე 37 წლის ხარ, გაბარია მოედნის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილი, ნახევარდაცვა და გამოდიხარ ევროპის ურთულეს საკლუბო ჩემპიონატში — პრიმერადივიზიონში. კი, ბატონო, გავძლებდი მომდევნო ერთ სეზონსაც, მაგრამ როდესაც შესაბამისი დრო მოდის, წონასწორობის გრძნობამ არ უნდა დაგაღალატოს. პროფესიული კარიერა მშვიდად და ღირსეულად მსურს დავასრულო.

— მოდით, ის დღე წარმოვიდგინოთ. რას ეტყოდით „დეპორტივოს“ განშორების ჟამს?

— ძალიან ძნელ რამეს მთხოვთ. გამიჭირდება ასე, ორიოდე სიტყვით აგიხსნათ ჩემი ამ კლუბისადმი სიყვარული. ფეხბურთზე რომ არაფერი ვთქვათ, „დეპორტივომ“ მე სულ სხვა პიროვნებად ჩამომაყალიბა, გაცილებით იმაზე უფრო ძლიერად, ვიდრე ესპანეთში ჩამოსვლამდე ვიყავი. ლა კორუნიასთან და „რიასორთან“ საოცარი მოგონებები მაკავშირებს.

— გუნდიდან წასვლის შემდეგაც ამ ქალაქში იცხოვრებთ?

— ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. ალბათ, ესპანეთშიც ვიცხოვრებ და ბრაზილიაშიც, მაგრამ თუ საშუალება მომეცა, რაც შეიძლება დიდი ხნით მინდა ლა-კორუნიის გარემოთი დავტკბე. აქ ჩემი მეორე სამშობლოა.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ევროპა. VI ჯგუფის ყალენდარი

ინგლისი, პოლონეთი, ავსტრია, უელსი, ჩრდ. ირლანდია, აზერბაიჯანი

2004

4 სექტემბერი

ჩრდ. ირლანდია — პოლონეთი
აზერბაიჯანი — უელსი
ავსტრია — ინგლისი

8 სექტემბერი

პოლონეთი — ინგლისი
ავსტრია — აზერბაიჯანი
უელსი — ჩრდ. ირლანდია

9 ოქტომბერი

ინგლისი — უელსი
აზერბაიჯანი — ჩრდ. ირლანდია
ავსტრია — პოლონეთი

13 ოქტომბერი

უელსი — პოლონეთი
ჩრდ. ირლანდია — ავსტრია
აზერბაიჯანი — ინგლისი

2005

26 მარტი

ინგლისი — ჩრდ. ირლანდია
პოლონეთი — აზერბაიჯანი
უელსი — ავსტრია

30 მარტი

პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია
ავსტრია — უელსი
ინგლისი — აზერბაიჯანი

4 ივნისი

აზერბაიჯანი — პოლონეთი

3 სექტემბერი

უელსი — ინგლისი
პოლონეთი — ავსტრია
ჩრდ. ირლანდია — აზერბაიჯანი

7 სექტემბერი

ჩრდ. ირლანდია — ინგლისი
პოლონეთი — უელსი
აზერბაიჯანი — ავსტრია

8 ოქტომბერი

ჩრდ. ირლანდია — უელსი
ინგლისი — ავსტრია

12 ოქტომბერი

ავსტრია — ჩრდ. ირლანდია
ინგლისი — პოლონეთი
უელსი — აზერბაიჯანი

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი

მონაწილე გუნდების ამხანაგური მატჩების განრიგი

ბულგარეთი

18 თებერვალი	საბერძნეთი — ბულგარეთი
31 მარტი	რუსეთი — ბულგარეთი
28 აპრილი	ბულგარეთი — კამერუნი

ხორვატია

18 თებერვალი	ხორვატია — გერმანია
31 მარტი	ხორვატია — თურქეთი
28 აპრილი	ხორვატია — ბოსნია
29 მაისი	ხორვატია — რუმინეთი
5 ივნისი	ხორვატია — სლოვაკეთი

ჩეხეთი

18 თებერვალი	იტალია — ჩეხეთი
31 მარტი	ირლანდია — ჩეხეთი
28 აპრილი	ჩეხეთი — იაპონია
29 მაისი	ლიხტენშტაინი — ჩეხეთი
2 ივნისი	*მეტოქე ჯერ უცნობია*
6 ივნისი	ჩეხეთი — ესტონეთი

დანია

18 იანვარი	აშშ — დანია
18 თებერვალი	თურქეთი — დანია
31 მარტი	ესპანეთი — დანია
28 აპრილი	დანია — შოტლანდია
29 მაისი	დანია — საბერძნეთი

ინგლისი

18 თებერვალი	პორტუგალია — ინგლისი
31 მარტი	შვედეთი — ინგლისი

საფრანგეთი

18 თებერვალი	ბელგია — საფრანგეთი
31 მარტი	ჰოლანდია — საფრანგეთი
20 მაისი	საფრანგეთი — ბრაზილია
28 მაისი	საფრანგეთი — ანდორა
6 ივნისი	საფრანგეთი — უკრაინა

გერმანია

18 თებერვალი	ხორვატია — გერმანია
31 მარტი	გერმანია — ბელგია
28 აპრილი	რუმინეთი — გერმანია
2 ივნისი	შვეიცარია — გერმანია

საბერძნეთი

18 თებერვალი	საბერძნეთი — ბულგარეთი
31 მარტი	საბერძნეთი — შვეიცარია
28 აპრილი	ჰოლანდია — საბერძნეთი
29 მაისი	დანია — საბერძნეთი

იტალია

18 თებერვალი	იტალია — ჩეხეთი
31 მარტი	პორტუგალია — იტალია
28 აპრილი	იტალია — ესპანეთი

ლატვია

უცნობია

ჰოლანდია

18 თებერვალი	ჰოლანდია — აშშ
31 მარტი	ჰოლანდია — საფრანგეთი
28 აპრილი	ჰოლანდია — საბერძნეთი
29 მაისი	ჰოლანდია — ბელგია
5 ივნისი	ჰოლანდია — სამხრეთ აფრიკა

პორტუგალია

18 თებერვალი	პორტუგალია — ინგლისი
31 მარტი	პორტუგალია — იტალია
28 აპრილი	პორტუგალია — შვედეთი

რუსეთი

11 თებერვალი	იაპონია — რუსეთი
31 მარტი	ბულგარეთი — რუსეთი
28 აპრილი	ნორვეგია — რუსეთი
25 მაისი	ავსტრია — რუსეთი

ესპანეთი

18 თებერვალი	ესპანეთი — პერუ
31 მარტი	ესპანეთი — დანია
28 აპრილი	იტალია — ესპანეთი

შვედეთი

22 იანვარი	ნორვეგია — შვედეთი
25 იანვარი	ჰონ კონგი ან ჰონდურასი — შვედეთი
31 მარტი	შვედეთი — ინგლისი
28 აპრილი	პორტუგალია — შვედეთი
28 მაისი	ფინეთი — შვედეთი

შვეიცარია

18 თებერვალი	მაროკო — შვეიცარია
31 მარტი	საბერძნეთი — შვეიცარია
28 აპრილი	შვეიცარია — სლოვენია
2 ივნისი	შვეიცარია — გერმანია

ილოცეთ, ბიჭებო!

ჰიონესმა სანთლები შეუკვეთა

ული ჰიონესმა მეჰმეთ შოლი ხელფასის შემცირებაზე და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაითანხმა

ბუნდესლიგის განახლებამდე ორიოდ კვირა დარჩა. მოუნხენის „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა კლუბის სალარო საახლწლოდ შეამოწმა და „კიკერთან“ ინტერვიუში თქვა, რომ მალე გერმანიაში, ისევე როგორც სრულიად ევროპაში, ფეხბურთელებს ჯამაგირი შეუმცირდებათ. ჰიონესმა იქვე დასძინა: „ამჟამად კლუბებში ძალიან მძიმე ფინანსური მდგომარეობაა და მოთამაშეებს სხვა გამოსავალი არ ექნებათ. ისინი ხელფასების შეკვეცას აუცილებლად დაჰყაბულდებიან. მე ვცდილობ, „ბაიერნის“ ფეხბურთელები რეალობაში დავაბრუნო, თორემ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ისინი საკუთარ ოცნებებში ცხოვრობენ“

მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა თავისი გუნდის მოთამაშეებს ურჩია, ყოველ დილით წყვილი სანთელი დაანთონ და საკუთარი მომავლისთვის ილოცონ, რათა სამსახური და ხელფასი სტაბილურად ჰქონდეთ.

„ჩვენს ფეხბურთელებს ამ წლიდან მოედანზე გაცილებით მეტი ოფლის ღვრა მოუწევთ, ვიდრე შარშან, რადგან კლუბის სალაროს შევსება სწორედ გუნდის წარმატებაზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა ჰიონესმა.

„კიკერის“ გამოკვლევით, ბუნდესლიგური კლუბების საერთო დავალიანება 900 მილიონ ევროს აჭარბებს.

ბავარიელთა მენეჯერის წუწუნის მიუხედავად, მიუნხენელებმა ორ ფეხბურთელს გაუხანგრძლივეს კონტრაქტი. მეჰმეთ შოლმა, რომელიც „ბაიერნში“ 1992 წლიდან თამაშობს, თავისი მომავალი გუნდს კიდევ ერთი სეზონით დაუკავშირა, „ბაიერნის“ მაისურას ტომას ლინკეც 2004 წლის ბოლომდე უერთგულებს.

ვაჟა ხუციშვილი

შენ ხარ დონე და ხარისხი

ჰოლინას ჰალი ეპატიჟება

მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მსტვინავი, პიერლუიჯი კოლინა სახალისო ამბებში არაერთხელ გარეულა. მაგალითად, მსოფლიოს 2002 ჩემპიონატის დასრულებისთანავე იტალიელ მსაჯს იაპონელებმა სარეკლამო რგოლში მონაწილეობა სთხოვეს და კოლინამაც... რვაფეხას ხორცის რეკლამირება ითავა.

ამჯერად იტალიელს ინგლისიდან დაუკავშირდნენ და აცნობეს, ჩამობრძანდით... დოქტორის ხარისხი უნდა მოგანიჭოთო. ჰალის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტის დეკანმა დევიდ სიუელმა განაცხადა: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ პიერლუიჯი კოლინა მსაჯობის დიდოსტატია. დეტალურად იცის ყველა საფეხბურთო წეს-კანონი, პატიოსანი და ობიექტურია, აგრეთვე ნებისმიერ რთულ ვითარებაში სწრაფად იღებს სწორ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, იგი კომუნიკაბელურია, ლიდერობაც ძალუძს და ყველაზე დაძაბულ მომენტშიც კი სიმშვიდეს ინარჩუნებს.“

ასე თვლის ჰალის უნივერსიტეტის დეკანი. მაგრამ მავანმა ინგლისელმა ეს ამბავი რომ შეიტყო, იხუმრა, დევიდ სიუელს სხვა საბაბი უნდა ჰქონდეს პიერლუიჯი კოლინას ესოდენ დიდად დაფასებისაო. მაგალითად, გერმანია-ინგლისის მატჩს, რომელიც მიუნხენში გაიმართა და მასპინძელთა განადგურებით (1:5) დასრულდა, სწორედ მელოტი მსტვინავი სჯიდა, ისევე როგორც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შეხვედრას არგენტინასა და ინგლისს შორის. ის მატჩი ინგლისელებმა ბექემის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანის წყალობით მოიგეს, პენალტი კი არგენტინელთა კარში პიერლუიჯი კოლინამ დანიშნა.

ვაჟა ხუციშვილი

ყველაფერი დედაჩემის შესახებ

რანიერიმ მუოხელი გაყიდა



როცა საბურს ვიწყებთ სიტყვით „ჩელსი“, თავის ქალას შიგნიდან რომან აბრამოვიჩის გვარ-სახელი მოაწყდება და პირიქით, რომან აბრამოვიჩზე „ჩელსი“ ამოტივტივდება. მათთან ერთად კლაუდი რანიერისაც ახსენებთ, ოღონდ ძირითადად მაშინ, როცა „არისტოკრატები“ აგებენ და კლუბის რუსი პატრონი სხვა მწვრთნელის ძიებაზე ალაპარაკდება.

„ჩელსი“ არ არის მხოლოდ კლაუდიო რანიერი, რომან აბრამოვიჩი, ფულის დასტა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის ორიგინალური ცეკვა.

„არისტოკრატებს“ გულშემატკივრებიც ჰყავთ, რომელთა შორის გახლავთ 84 წლის ქალბატონი, კლაუდიო რანიერის დედა.

დედას ძალიან მოსწონს, პირდაპირ მოხიბლულია... ირლანდიელი ვაჟკაცის, დემიენ დაფის თამაშით. „ჩელსის“ მწვრთნელმა საკუთარ მშობელზე თქვა: „ყოველთვის, როცა კი ირლანდიელს სათადარიგოთა სკამზე ვტოვებ, დედაჩემი მეკითხება, ასე რატომ გადავწყვიტე მას სურს, რომ დაფი ნებისმიერ მატჩში 90 წუთის განმავლობაში თამაშობდეს“.

აღსანიშნავია, რომ რუმინეთიდან ლონდონში საცხოვრებლად ადრიან მუტუს დედა გადავიდა, რომელმაც შვილს ცხოვრება საგრძნობლად გაუიოლა. „ძალიან მიხარია, რომ დედაჩემი კვლავ ჩემთანაა — გაიხარა ადრიანმა — მატჩის ან ვარჯიშის შემდეგ ტელეფონით ვურეკავ და ვეუბნები, თუ რომელი კერძი უნდა გამიმზადოს“.

ვაჟა ხუციშვილი

ბუნდესლიგას მსოფლიოს ორი ჩემპიონი გერმანელილა შემორჩა — შტეფან როიტერი და ანდრეას მიოლერი. მათი განვლილი გზა ფრაქციის ერთნაირია. 1990-ში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ორივემ ძალა „იუვენტუსში“ მოსინჯა, შემდეგ კი ერთად დორტმუნდში აღმოჩნდნენ. როიტერი ახლაც „ბორუსიაშია“, მიოლერი კი შარშან ფეხბურთს „შალკედან“ გამოეთხოვა, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით მაინც დაბრუნდა მოედანზე და ფრანკფურტის „აინტრახტის“ მაისურა მოირგო. პოპულარული გერმანული ტაბლოიდი „ბილდი“ მიოლერს ესაუბრა, ქვემოთ ამ ინტერვიუს გთავაზობთ

მიოლერის მისია

გელზენკირხენში თავი ავწია

ენდი მიოლერი

— რას გრძნობდით სექტემბრის იმ მატჩში, როცა „აინტრახტის“ შემადგენლობაში „შალკეს“ ეთამაშეთ?

— გელზენკირხენი სკანდალის გარეშე დავტოვე, ამიტომაც ნაცნობ ქალაქში ძველ ნაცნობ მეგობრებთან თავაწეული ჩავედი და თბილ დახვედრას ველოდი. შეხვედრა ფრედ დასრულდა და ესეც სიმბოლურია.

— რომელიმე ყოფილ თანაგუნდელს თუ ხვდებით ხოლმე?

— რა თქმა უნდა. მეკარე რეკით დაწყებული, პრეზიდენტ რუდი ასაუერით დამთავრებული. „შალკეში“ გატარებული სამი წლის მანძილზე ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე.

— მაშ რატომ წახვედით?

— ახალგაზრდობას გზა უნდა დავუთმოთ. „შალკეში“ დატვირთვა მეტი იყო, გუნდი ევროთასებზე გამოდის და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, „აინტრახტში“ კი 36 წლის ფეხბურთელისთვის თამაში იოლია.

— თუმც თქვენი წასვლის შემდეგ „შალკემ“ აშკარად უკლო. უეფას თასიდან გავარდა და ბუნდესლიგის პირველი წრე ოდენ მეშვიდე ადგილზე დააასრულა.

— მე ვერ დავუკავშირებ გუნდის თამაშის გაუარესებას ჩემს წასვლას. მიზეზი სულ სხვაა. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები. თან მეტოქეები განსაკუთრებული მონდომებით გეთამაშებიან.

— „შალკეს“ და „აინტრახტს“ შორის დიდი სხვაობაა?

— ეს ორ სხვადასხვა სამყაროა! გელზენკირხენში სავარჯიშო-მოსამზადებელი პირობები უმაღლეს დონეზეა, ისევე როგორც მოედნების ხარისხი. ამ მხრივ მხოლოდ „აინტრახტი“ კი არა, „ბაიერნისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ გარდა ყველა გუნდი ჩამორჩება „შალკეს“.

— თქვენი ადგილი „შალკეში“ ჰამიტ ალტინტოპმა ჩაიბარა. როგორ შეაფასებთ მის თამაშს?

— ძალიან მიხარია, რომ მან გუნდში თავის ადგილი უმალ იპოვა. ალტინტოპს ძალიან კარგი მონაცემები აქვს.

— ფრანკფურტში თქვენგან საოცრებას ელიან, რომ „აინტრახტი“ არ გავარდეს...

— არა, როგორ გეკადრებათ, მე მხსნელისა და სასწაულმოქმედის როლი არ მიკისრა. ვერავის მივცემ იმის გარანტიას, რომ „აინტრახტი“ ბუნდესლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მეორე ბუნდესლიგაში არ გავვარდეთ.

— 36 წლის ასაკში ძალიან ბევრსაც ალბათ ვერ შეძლებთ...

— დიდი ხნის განმავლობაში უთამაშებლობამ ფორმიდან ამომაგდო, მაგრამ ნელ-ნელა თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებ. მეორე წრის განახლებისას უკეთეს ფორმაში ვიქნები.

— მწვრთნელთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ვილი რაიმანი პროფესიონალი და საქმის მცოდნეა. ყველა მოთამაშესთან გულღიაა და კარგი მოსაუბრეა.

— თქვენი თქმით, ფრანკფურტში ბედნიერი ხართ...

— ცხადია, ასეა. უკმაყოფილების მიზეზი არ მაქვს, ვარჯიშებზე დიდი ხალისით დავდივარ. თან იმ ადგილებსაც ხშირად ვნახულობ, სადაც ახალგაზრდობა გავატარე.

— როგორც ჩანს, გამოსათხოვარი მატჩის გამართვას კიდევ დიდხანს არ აპირებთ...

— ჯერ ვერ გადავწყვიტე სად უნდა გავმართო ეს მატჩი. დორტმუნდში ეწყინებათ გელზენკირხენში რომ გავმართო და პირიქით... ალბათ ავჯობებს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ სამთა მინი ტურნირი მოვაწყო, რომელშიც „ბორუსია“, „შალკე“ და „აინტრახტი“ ითამაშებენ, მაშინ კი ნამდვილად არავის ეწყინება.

სარგებელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი						
		პრემიერლიგა. XXII ტური						
		17 იანვარი						
16.30	001	ვულვერჰემპტონი-მანჩესტერი	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
19.00	002	ბოლტონი-პორტსმუთი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
19.00	003	ევერტონი-ჩარლტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	004	სიტი-ბლექბერნი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	005	მიდლსბრო-ლესტერი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
19.00	006	საუთჰემპტონი-ლიდსი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	007	ტოტენჰემი-ლივერპული	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		18 იანვარი						
18.00	008	ასტონ ვილა-არსენალი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
20.05	009	ჩელსი-ბირმინგემი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	010	ჩელსი-ბირმინგემი	0:1	1,9	3,2	2,7		
		19 იანვარი						
24.00	011	ნიუკასლი-ფულემი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		ინგლისი						
		II დივიზიონი. XXII ტური						
		14 იანვარი						
23.45	054	პორტ ვეილი-ბლეკპული	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
		იტალია. სერია A. XVII ტური						
		17 იანვარი						
21.00	014	მოდენა-ლაციო	3,2	3,1	2,2	1,57	1,3	1,28
23.30	015	უდინეზე-პარმა	2,35	3,0	3,0	1,31	1,31	1,5
		18 იანვარი						
18.00	016	ანკონა-პერუჯა	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.00	017	ბოლონია-კიევო	2,3	2,8	3,3	1,26	1,35	1,51
18.00	018	ინტერი-ემპოლი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	019	ინტერი-ემპოლი	0:1	1,4	3,6	4,2		
18.00	020	იუვენტუსი-სიენა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	021	იუვენტუსი-სიენა	0:1	1,55	3,3	3,6		
18.00	022	რეჯინა-ლეჩე	1,8	2,9	4,8	1,11	1,3	1,8
18.00	023	რომა-სამპდორია	1,4	3,8	8,0	1,02	1,19	2,57
23.30	024	ბრეშა-მილანი	4,6	3,0	1,8	1,81	1,29	1,12
		ესპანეთი. I დივიზიონი. XX ტური						
		17 იანვარი						
22.30	026	მურსია-სელტა	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
22.30	027	ვალიადოლიდი-ვალენსია	3,3	3,1	2,15	1,59	1,3	1,26
00.30	028	ბარსელონა-ბილბაო	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
		18 იანვარი						
20.00	029	ოსასუნა-ალბასეტე	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.00	030	ვილიარეალი-მალაგა	1,85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
20.00	031	სოსიედადი-ესპანიოლი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
20.00	032	მალიორკა-რასინგი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
20.00	033	დეპორტივო-სარაგოსა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.00	034	ატლეტიკო-სევილია	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
24.00	035	ბეტისი-რეალი	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17
		ინგლისი. თასი. III ეტაპი						
		14 იანვარი						
23.45	278	ჩელსი-უოტფორდი	1,12	6,0	14,0	1	1,03	4,19
23.45	279	ლესტერი-სიტი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
23.45	280	სკარბორო-საუთენდი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
		იტალია						
		თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები						
		14 იანვარი						
21.00	282	ლაციო-პარმა	1,8	3,1	4,2	1,13	1,26	1,78
23.45	283	მილანი-რომა	2,05	3,0	3,5	1,21	1,29	1,61
		15 იანვარი						
24.00	284	პერუჯა-იუვენტუსი	4,0	3,0	1,9	1,71	1,28	1,16
		ესპანეთი						
		თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები						
		14 იანვარი						
00.30	286	ბარსელონა-ლევანტე	1,25	4,8	9,0	1	1,09	3,13
23.00	287	ბეტისი-სარაგოსა	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
23.00	288	სელტა-მალაგა	1,95	3,1	3,6	1,19	1,26	1,66
00.30	289	ოსასუნა-ვალენსია	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
23.00	290	ვალიადოლიდი-ალავესი	1,55	3,4	6,0	1,06	1,23	2,17
		15 იანვარი						
24.00	291	დეპორტივო-ატლეტიკო	1,65	3,3	5,0	1,1	1,24	1,98
24.00	292	სევილია-ვილიარეალი	1,95	3,1	3,6	1,19	1,26	1,66
		საფრანგეთი						
		ლიგის თასი. 1/4 ფინალი						
		14 იანვარი						
19.05	295	ლე მანი-ნანტი	2,5	3,0	2,6	1,36	1,27	1,39
22.00	296	გენიონი-ოსერი	4,0	3,1	1,85	1,74	1,26	1,15
24.00	297	სტ.ეტიენი-ნიცა	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38
		პორტუგალია.						
		თასი. 1/8 ფინალი						
		14 იანვარი						
19.00	298	რიუ ავე-პორტიმონენსე	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
19.00	299	მარკუ-ნავალი	2,8	3,1	2,35	1,47	1,27	1,33
19.00	300	მორეირენსე-ბრაგა	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38
19.00	301	ლეირია-ნასიონალი	2,0	3,1	3,5	1,21	1,27	1,64
00.30	302	ეშტორილი-სეტუბალი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		ჰოკეი. ფინეთი						
		14 იანვარი						
20.30	1130	ესპოო-ესეტი	1,45	4,6	4,4	1,1	1,09	2,24
20.30	1131	ჰელსინკი-ჰაამეენლინა	1,75	4,6	2,9	1,26	1,09	1,77

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. NHL						
		14 იანვარი						
04.00	1160	ვაშინგტონი-კალგარი	2,3	3,6	2,35	1,4	1,16	1,42
04.30	1161	დეტროიტი-ჩიკაგო	1,5	4,0	4,6	1,09	1,13	2,13
04.30	1162	ატლანტა-მონრეალი	2,25	3,6	2,4	1,38	1,16	1,44
05.00	1163	მინესოტა-ლოს ანჯელესი	2,2	3,6	2,45	1,36	1,15	1,45
		კალათბურთი						
		ევროლიგა						
		14 იანვარი						
21.10	1253	ცსკა-ოლიმპია	1,06	10,0	5,6	1	1	3,58
23.40	1254	სკიპერი-პანათინაიკოსი	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18
23.40	1255	ვილერბანი-ეფესი	2,4	10,0	1,4	1,93	1	1,22
23.40	1256	ტაუ-ბენეტონი	1,65	10,0	1,95	1,41	1	1,63
23.40	1257	ციბონა-ბარსელონა	2,1	10,0	1,55	1,73	1	1,34
21.10	1258	შლიონსკი-ალბა	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18
		15 იანვარი						
21.40	1259	ულქერი-პარტიზანი	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
22.40	1260	ჟალგირისი-სიენა	1,45	10,0	2,3	1,26	1	1,86
22.40	1261	მაკაბი-კრკა	1,02	10,0	7,0	1	1	4,11
23.40	1262	ვალენსია-ოლიმპიაკოსი	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
23.40	1263	რომა-აეკ	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
23.40	1264	ოლიმპია-პო ორტეზი	1,45	10,0	2,3	1,26	1	1,86
		კალათბურთი. NBA						
		14 იანვარი						
04.00	1280	ბოსტონი-ჰიუსტონი	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
04.00	1281	ინდიანა-ატლანტა	1,05	10,0	5,6	1	1	3,58
04.30	1282	დეტროიტი-ტორონტო	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
04.30	1283	ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი	1,1	10,0	5,0	1	1	3,33
04.30	1284	ნიუ იორკი-ორლანდო	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
05.30	1285	სან ანტონიო-მინესოტა	1,35	10,0	2,5	1,18	1	2
06.00	1286	დალასი-ფილადელფია	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

17.01 16.30	6001	ინგლისი პლ (XXII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
17.01 21.00	6002	იტალია A (XVII)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
17.01 22.30	6003	ესპანეთი Iდ (XX)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
17.01 20.15	6004	საფრანგეთი Iდ (XXI)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
16.01 01.30	6005	პორტუგალია სლ (XVIII)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
16.01 23.30	6006	ბელგია Iდ (XVIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი — №2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი — I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	კოსტავას ქუჩა №23
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7

„არსებობს შეფასება – დამაკმაყოფილებელი, მე კი გასულ წელს ყარგად შევაფასებდი“ – ამ სიტყვებით დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა. არ მინდა, თავი შეგაწყინოთ, მოკლედ მოვჭრი, მერე კი ერთი სიუპრიზი მაქვს თქვენთვის შემონახულიო – გამოგვიცხადა ქართული სპორტის გამგემ ჟურნალისტებს და 2003 წელს მისი უწყების მიერ გაწეული სამუშაოს შეფასებაც დაიწყო:

ფული არის, მთავარია შედეგი

სპორტის დეპარტამენტმა სპორტი შეაჯამა

„გასულ წელს არაერთმა სპორტსმენმა გვასახელა, საკმაოდ ბარაქიანი სეზონი გვქონდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად მობილიზება გვმართებს — წინ ოლიმპიადაა. 2003-ში სპორტის დეპარტამენტმა მრავალი ფედერაცია დაფინანსა, რომელთაგან ხვალ 10 საუკეთესოს გამოვარჩევთ და რესტორან „სარაჯიშვილში“ დავჯილდოვებთ. ასევე გამოვავლენთ საუკეთესო სპორტსმენებს, რომელთაც ჯილდოები და ფულადი პრემიები გადაეცემათ. აქვე გეტყვით, რომ შარშან ჩვენმა სპორტსმენებმა პრემიის სახით ჯამში 264 ათასი ლარი მიიღეს. დაფინანსების საკითხში სათამაშო სახეობებში მოვიკოჭლეთ. წლეულს საკალათბურთო ნაკრებს სამი მატჩი ელის, ხოლო ნბა-ს მოთამაშეების ჩამოსვლაც თუ მოხერხდა, თითოეულის დასაზღვევად მინიმუმ 50 ათასი დოლარის გადახდა მოგვიწევს.

ბიუჯეტი ჯერ არ დამტკიცებულა, მაგრამ 6 მილიონზე ნაკლები არ უნდა მოვითხოვოთ. ოლიმპიელების დაფინანსება შედარებით გაგვიიოლდება, ოლიმპიური ფონდიდან თითოეული სპორტსმენი დაჯილდოვდება, ვინც თავს გამოიჩენს. თითოეული ოლიმპიური ჩემპიონი სახელმწიფოსგან 50 ათას ლარს მიიღებს, პირადად ბადრი პატარკაციშვილისგან კი 100 ათას დოლარს. ალბათ 28-30 ლიცენზიას მოვიპოვებთ, საიდანაც მინიმუმ ერთი ოქროს მოგებას ვგეგმავთ...

ჩამოვიტანეთ 50 მაღალი დონის საჭიდაო ხალიჩა, რომლებსაც მხოლოდ იმ სკოლებს დავურიგებთ, რომლებიც პირობას მოგვცემენ, რომ ჭიდაობის უფასო წრეებს გახსნიან. ამით ხელს შევუწყობთ ჭიდაობის პოპულარიზაციას რაიონებში...

დამსახურებულთათვის ამიერიდან ახალ ჯილდოს ვაწესებთ, რომელიც აქამდელ სპორტის ოსტატის წოდებას შეცვლის — „სპორტის რაინდის“ ჯილდოს ხვალ 5 ადამიანი მიიღებს, რომელთა შორისაც მხოლოდ სპორტსმენები კი არა, სპორტის სფეროში დამსახურებული ხალხიც იქნება.“

ირაკლი მეძმარიაშვილმა წლის შემაჯამებელი სიტყვა დაასრულა და ჟურნალისტებსაც მოგვხედა — დამსახურებულები უნდა გამოვარჩიოთო. წამყვანი საინფორმაციო საშუალებების ათამდე ჟურნალისტს დეპარტამენტის თავმჯდომარემ სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცა.

ირაკლი მეძმარიაშვილი

გოჩა სახოკია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

კობიდა აკლდათ

ლეიკერსს ბრაიანტიც დაემტვრა

12 იანვარი

ორლანდო 82:87 ფილადელფია

ორლანდო: ლუ (6), ბოგანსი (20), მაკგრეიდი (32), ჰოვარდი (9), დეკლერკი (3); ფაჩულია (15 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა), გირიჩეკი (4), გუდენი (2), სტრიკლენდი (2), უილიამსი

ფილადელფია: აივერსონი (26), სნოუ (13), ტომასი (13), რობინსონი (19), დალემბერი (15), ბაკნერი (1), მაკკი, სალმოსი, მაკასკილი, კორვერი, ჰამილტონი

ნიუ იორკი 121:127 დალასი

ძირითადი დრო 115:115

ნიუ იორკი: მარბერი (38), ჰიუსტონი (29)

დალასი: ნეში (28), უოლკერი (14 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი)

გოლდენ სტეიტი 113:115 მემფისი

ძირითადი დრო 94:94

გოლდენ სტეიტი: ვან ექსელი (23), დამპიე (23 ქულა, 22 მოხსნა, 7 დაფარება)

მემფისი: მილერი (24), გასოლი (17)

ლეიკერსი 98:89 კლივლენდი

ლეიკერსი: პეიტორი (13)

კლივლენდი: ილგაუსკასი (19)

ტრავმებისგან ვარსკვლავებშეთხელებულ „ლეიკერსს“ ერთი სუპერმოთამაშეც დაუშავდა — გუშინწინ ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდთან“ თამაშის პირველ მეოთხედში ლოსანჯელესელთა მთავარმა გმირმა კობი ბრაიანტმა მხარი იტკინა და ჯერ არ იცის, როდის დაუბრუნდება მოედანს.

ეს ოხერი ტრავმა მაინც და მაინც ვარსკვლავებს ეტანება — „ლეიკერსს“ ზონზროხა შაკილ ონილი ორი კვირაა, დაშავებული ჰყავს, ჯერაც ვარსკვლავი მოხუცი კარლ მელოუნი კი ონილზე დიდი ხანია, მოედანზე არ გამოჩენილა.

„ლეიკერსს“ სასწრაფო რეანიმაცია ესაჭიროება, თუ არადა, „კლივლენდისთანა“ „ბულკი“ გუნდები ბევრი არ შეხვდება, ისე გადაუვლიან, წარბს არ შეატოკებენ. გუშინწინდელ მატჩშიც ბეწვზე გადარჩნენ კალიფორნიელები. პირველი ტაიმის ბოლოს ბრაიანტი თამაშიდან იძულებით რომ გავიდა, მისიანები სოლიდურად იგებდნენ, თუმც კობის არყოფნით გალაღებულმა ლებრონ ჯეიმსმა აფრები აუშვა და ერთხანს თითზე იბზრიალა ჩემპიონობის აწ შეჭირვებული პრეტენდენტები.

ბრაიანტის კი ამგვარად შეემთხვა ტრავმა: სამქულიანის ნიშნულთან კედრიკ ბრაუნს ბურთი აჩვენა, არიქა, ვესვრიო, თუმც ბურთი ჯორდანივით ხელზე მიწება, ცაში აფრენილი ბრაუნი რომ ძირს ეშვებოდა, მაშინ ახტა და ჯარიმით ჩაგდება მოისურვა. ორიენტაციადაკარგული ბრაუნი პირდაპირ მარჯვენა ნოპერაციევ მხარზე დაებრეხვა ბრაიანტს და რამდენიმე წუთიანი ღლაბუცის შემდეგ ტკივილისაგან სახედამანჭულმა კობიმ გასახდელს მიაშურა.

„ლეიკრესმა“ მაინც მოახერხა უნიათო „კლივლენდის“ ძლევა, მაგრამ უღირდა ეს გამარჯვება კობი ბრაიანტის ტრავმად?!

არავინ ჰყავს დაშავებული, მაგრამ მაინც ვერაფრის მაქნისია „ორლანდო მეჯიქი“. ზაზა ფაჩულიას გუნდმა გუშინწინ „ფილადელფიას“ უმასპინძლა და რა თქმა უნდა, წააგო.

ფაჩულია მცირეხნიანი უქმობის შემდეგ კვლავ გამოჩნდა მოედანზე და ღრმა სათადარიგოს კვალობაზე ურიგოდ არ უთამაშია — 15 წუთი დაჰყო მოედანზე და 4 ქულასთან ერთად 6 მოხსნაც მიითვალა.

ფილადელფიელებს გაამარჯვებინა ალენ აივერსონმა, რომელმაც საბოლოოდ მოირჩინა ტრავმა და მრავალმატჩიანი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, ასცდა ერთ დროს მისთვის იოლად დასაძლევ 20 ქულიან ზღვარს.

დღის ორ სხვა მატჩში კი თავპირისმტვრევა იყო — ნიუ იორკშიც და ოკლენდშიც ოვერტაიმში გაირკვა გამარჯვებული. ნიუიორკელმა გულშემატკივრებმა ისევ გამოლანძღეს „ნიქსის“ მწვრთნელი დონ ჩეინი, რაკი მისმა გუნდმა ისევ წააგო, ამჯერად „დალასთან“ და ისიც ოვერტაიმში.

ოკლენდში იქაურ „გოლდენ სტეიტს“ კი „მემფისი“ სტუმრობდა და წინა დღეს ლოს ანჯელესში მოგებული მატჩის დარად, ისევ დამატებით დროში იმარჯვა.

ირაკლი პერტაია


ზაზა ფაჩულია და ალენ აივერსონი უქმი ბურთისთვის დაიძაგრნენ

აღმოსავლეთი			
ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	20	15	57,1
ბოსტონი	20	19	51,3
ფილადელფია	18	20	47,4
მაიამი	15	22	40,5
ნიუ იორკი	15	24	38,5
ვაშინგტონი	10	25	28,6
ორლანდო	9	29	23,7
ცენტრალური			
ინდიანა	28	11	71,8
დეტროიტი	24	13	64,9
ნიუ ორლეანი	22	15	59,5
ტორონტო	19	16	54,3
მილუოკი	20	17	54,1
ჩიკაგო	12	25	32,4
კლივლენდი	11	26	29,7
ატლანტა	10	28	26,3

დასავლეთი			
შუა-დასავლეთი			
სან ანტონიო	26	11	70,3
მინესოტა	24	11	68,6
დენვერი	22	16	57,9
დალასი	21	16	56,8
ჰიუსტონი	20	16	55,6
იუტა	19	17	52,8
მემფისი	19	18	51,4
წყნარი ოკეანე			
საკრამენტო	26	9	74,3
ლეიკერსი	23	11	67,6
სიეტლი	19	16	54,3
პორტლენდი	16	19	45,7
კლიპერსი	15	19	44,1
გოლდენ სტეიტი	15	21	41,7
ფინიქსი	12	25	32,4

საქართველოს თასის მე-2 გათამაშება

I წრე. რუსთავი

16 იანვარი, პარასკევი	
დინამო — სტუ-ჯეოსელი	13.00
სსუ — გასკო	15.00
რუსთავი — თსუ	17.00
17 იანვარი, შაბათი	
თსუ — დინამო	13.00
სტუ-ჯეოსელი — სსუ	15.00
გასკო — რუსთავი	17.00
18 იანვარი, კვირა	
სტუ-ჯეოსელი — თსუ	13.00
სსუ — რუსთავი	15.00
დინამო — გასკო	17.00
20 იანვარი, სამშაბათი	
გასკო — სტუ-ჯეოსელი	13.00
თსუ — სსუ	15.00
რუსთავი — დინამო	17.00
21 იანვარი, ოთხშაბათი	
გასკო — თსუ	13.00
სსუ —დინამო	15.00
რუსთავი — სტუ-ჯეოსელი	17.00

ფედერაციაში მატჩია

ლაშა ძიძავა ქართულ კალათბურთს იანგარიშებს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ვიცე-პრეზიდენტი შეემატა — გუშინ ფედერაციის გამგეობის სხდომამ ამ თანამდებობაზე ლაშა ძიძავა დაამტკიცა.

მაშ ასე, მამუკა კაციტაძესთან ერთად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობას ძიძავაც გასწევს, ის ქართული კალათბურთის მარკეტინგულ საკითხებს გაუძღვება.

ლაშა ძიძავა ერთ-ერთი წარმატებული ქართველი ბიზნესმენია. ერთი ხანობა ის „ქართუ ჯგუფს“ ხელმძღვანელობდა, ახლა კი საკუთარი ბიზნესი აქვს და ქართული კალათბურთის დახმარება გადაუწყვეტია.

ძიძავა ყოფილი კალათბურთელია, მას საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია. იყო საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი და 80-იანი წლების „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაშიც უთამაშია.

„ასეთი პროფესიონალი ბიზნესმენის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნა დიდად წაადგება ქართულ კალათბურთს — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა — ლაშა ძიძავა ჩვენთან კონკრეტული სამუშაო გეგმით მოვიდა. რამდენიმე დღეში ჩვენ პრესკონფერენციას მოვიწვევთ, სადაც ახალი ვიცე-პრეზიდენტი თავის პროგრამას გააცნობს ჟურნალისტებს.“

გუშინდელმა გამგეობის სხდომამ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მიიღო — დაფუძნდა საქართველოს თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე ოთხმა გუნდმა გამოთქვა.

ქალთა თასის ფინალი ვაჟთა ფინალის დღეს 27 მარტს გაიმართება, სრული კალენდარი კი მას შემდეგ შედგება, როცა საბოლოოდ დადგინდება ტურნირში მონაწილე გუნდების ოდენობა.

ირაკლი პერტაია

მს რა ნახა ფერერის თვალებმა
ხოლო დევმა გასრისა

კრის გუჩონემ ხუან კარლოს ფერეროს თავბედი აწყვლინა

HEINEKEN OPEN

ოკლენდი. ჰარდი. საპრიზო 404 ათასი $

პირველი წრე

გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) — **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) **6:7 (7:9), 7:6 (7:3); 7:5; რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — **სხენგ შალკენი** (4, ჰოლანდია) **7:6 (7:2), 6:4; ვინს სპედია** (5, აშშ) — **ტოდ მარტინი** (აშშ) **6:3, 6:4; გასტონ გაუდიო** (6, არგენტინა) — **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) **7:5, 6:3; ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **იარკო ნიემინენი** (8, ფინეთი) **6:1, 6:4**

დღის უმთავრეს მოვლენად სახელიანი მეჩოგნეების — გუსტავო კუერტენისა და ალექს კორეჩას შეხლა იქცა. და იქცა არა მარტო იმიტომ, რომ საფრანგეთის 2001 წლის ღია პირველობის ფინალური შეხვედრის რემატჩს მილეთი განსაკუთრებულად მოელოდა, არამედ იმიტომაც, რომ მატჩმა ეს მოლოდინი სავსებით გაამართლა.

კუერტენი ტურნირის შარშანდელი ჩემპიონია და თავად გუგას მის ყოველ მეტოქეს ბრძოლა იქ ბლომად შეკრებილ ბრაზილიელ ქომაგთა წინააღმდეგაც მოუწევს. მსოფლიო კლასიფიკაციის ამჟამინდელი მეასეადგილოსანი კორეჩა როლან გაროსის სამგზის ჩემპიონსა და მის გადაყვითლებულ ფანობას ორი საათისა და 49 წუთის განმავლობაში უძალიანდებოდა.

პირველი ტაიბრეიკისას კუერტენი 5:1 იგებდა, მაგრამ ესპანელმა წამოწევა შეძლო და სეტით დაწინაურდა. მეორე სეტში გუგა 5:2 იყო წინ და კვლავ წაიფორხილა — მეტოქეს ზედიზედ ოთხი გეიმი დაუთმო. ამ მომენტში ბევრმა იფიქრა, რომ მას უკვე ვეღარაფერი გადაარჩენდა, მაგრამ კუერტენმა საქმე მეორე ტაიბრეიკამდე მიიყვანა და იქ სასეტო წონასწორობა აღადგინა.

გადამწყვეტ სეტში ორშხრივიურისკო ფრთხილი ბურთაობის ნაცვლად ჯიგრიანი და დაშხოშიანი თამაში გაჩაღდა. გადამწყვეტ სიტუაციებში უფრო უცდომელი ბრაზილიელი იყო და სამეორწრეო საგზურიც საბოლოოდ მასვე დარჩა.

ეს კუერტენისა და კორეჩას მეცხრე მატჩი გახლდათ და თუკი ამ ცხრიდან პირველი ორი ესპანელს მოეგო, ყველა მომდევნოში უმჯობესი გუგა გამოდგა. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ გუგა 27 წლისაა, კორეჩა — 29-ისა, პირველს 19 ტიტული მოუმკია, მეორეს კი — 17 და ჰარდზე აქამდე ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ, შარშან სანკტპეტერბურგულ ტურნირზე ერკინენ. მათი ყველა სხვა დაპირისპირება, როგორც ნფიც მეთიხნარეთ შეშვენით, სწორედაც რომ წითელმიწაზე გამართულიყო.

ADIDAS INTERNATIONAL

სიდნეი. ჰარდი. საპრიზო 380 ათასი $

პირველი წრე

ძრის გუჩონე (ავსტრალია) — **ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) **6:3, 7:6 (8:6); კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — **ალექს ბოგომოლოვი** (აშშ) **7:5, 6:4; მარკ ფილიპუსისი** (4, ავსტრალია) — **რამირეს იდალგო** (ესპანეთი) **6:4, 5:7, 6:2; მარტინ ფერკერკი** (8, ჰოლანდია) — **უეინ ართურსი** (ავსტრალია) **6:4, 6:4; ტომი რობრედო** (ესპანეთი) — **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) **6:2, 6:3; ვიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) **6:4, 6:4; უეინ ფერარი** (სამხრეთ აფრიკა) — **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) **6:2, 6:4; კარლოს კუჩერა** (სლოვაკეთი) — **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) **6:7 (3:7), 7:6 (7:4), 6:3**



კარლოს მოია სეზონს საბრძოლო ფორმაში იწყებს

უკვე ორი წელია, ხუან კარლოს ფერეროს სიდნეიში სენსაციურად ჰგვემენ. შარშან ეს ფინალში მოხდა, სადაც მას მანამდე სრულიად უსახელო კორეელმა ჰიუნგ-ტაიკ ლიმ სძლია, წლეულს კი სულაც პირველსა წრეში — მსოფლიოს ნომერ მეორე მეჩოგნესა და ტურნირის მთავარგანთესილს 18 წლის ავსტრალიელმა ბიჭმა ქრის გუჩონემ აჯობა.

ეს ქრისი კაი ათლავაშა ვინმეა, მიწიდან მეტრსა და 98 სანტიმეტრს აითვლის და თავის სულ რაღაც მეხუთე საეტაპო შეხვედრაში ამქრის ერთი უმთავრესი ყოჩიც მოთელა. ფერერომ მისი მძლავრი მოწოდების, 19 ეისისა და ამას მოყოლებული ხორციანი გლაჯუნის წინააღმდეგ ბევრი ვერაფერი გააწყო და სიდნეის სეტისმოუგებლად გაეცალა.

ფერერო — „ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს დღეს საერთოდ არ მითამაშია. მისი საზარელი მოწოდების გამო მთელი მატჩის მსვლელობისას ხანგრძლივ გათამაშებაში მხოლოდ ერთიორჯერ თუ ჩავითრიე. არა, ეგეთი ღონიერი ბიჭების წინააღმდეგ ჩოგნაობა ძალიან ძნელია. აბა, როგორია, თითო გათამაშებისას ბურთს მხოლოდ ერთხელ რომ შეეხები... აქამდე მასზე არაფერი შემეტყო. დღეს ის პირველად ვნახე და ალბათ კაი ხანი ვეღარ დავივიწყებ."

გუჩონე ავსტრალიის ღია პირველობაზე აუცილებლად გამოვა — როგორც ქვეყნის ერთ უნიჭიერეს ყმაწვილს, ტურნირის ორგანიზატორებმა მას საგანგებო საშვი გამოუწერეს. თუმცა მასთან შეხლამდე ფავორიტები ალბათ უფრო გაფრთხილდებიან და ასე მოულოდნელადაც აღარავინ გაპარტახდება.

სხვაფრივ — ჯერ ჩენაური ტიტული არ მოენელებინა, კარლოს მოიამ საბუჭნაოდ ავსტრალიას რომ მიაშურა. ბედად, პირველ წრეში მას ალექს ბოგომოვოლ ჯუნიორი ერგო და გამოცდილ მალიორკელსაც კაი ხასიათზე გამოსაძინებლად განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირვებია. მასზე მეტად გაუჭირდა მეოთხე ნომრად განთესილ ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს, ვინაც უსახელო ესპანელ რამირეს იდალგოს სამი სეტი მოახმარა.

ლევან კელაურაძე

კიმ კლაისტერსი

ავსტრალიაში უძალობა გველის ბობოლები პანტა-პუნტით ცვივიან

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობას ბობოლა ქალთა დიდი ლიანგი მხოლოდ ტრიბუნებიდან ანაც ტელეეკრანიდან დაათვალიერებს.

ამქრის პოტენციურ უსტაბაშ სერენა უილიამსის მსგავსად მელბურნში ჩოგნაობას ვერც ტურნირის ორგზის გამარჯვებული ჯენიფერ კაპრიატი მოახერხებს. ბუთქუნა ჯენმ გასულ ნოემბერში ზურგის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ საბოლოოდ ჯერაც ვერ მოკეთებულა და ახლა ფლორიდაში შუშდება.

ჰოპმანის თასზე კოჭის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და სავარაუდოდ ასევე თამაშგარე დარჩება ბელგიელი კიმ კლაისტერსი.

უსათუოდ შინ დარჩებიან 4-გზის ჩემპიონი მონიკა სელეში და 1995 წლის გამარჯვებული მარი პირსიც.

ჯერაც გაურკვეველია, გამოვა თუ არა ბოლოსდაბოლოს ელენა დოკიჩი, ვინაც წინა ორი წელიც ჩაადგო და მოსათელ ტურნირებზე არც წლეულს გავარჯიშებულა.

ასეთ ვითარებაში პირველობის უმთავრეს ფავორიტებად ჟუსტინ ენენი, ვინუს უილიამსი და ლინდსი დევენპორტი რჩებიან. ამათგან ავსტრალიურ სლემჯილდოს თავის ტიტულზარდახშაში მხოლოდ დევენპორტი მოიძევს.

ჭადრაკი

ეტლი უცხოეთიდან რად ვარგა?
ლეკომ ჰოლანდიელი წალეკა

ჰოლანდიურ ზღვისპირა ქალაქ ვეიკ ან ზეეში მსოფლიოში ერთ-ერთი უპრესტიჟულესი საჭადრაკო სუპერტურნირი მიმდინარეობს. წლევანდელ გათამაშებას, შარშანდელისგან განსხვავებით რამდენიმე დიდოსტატი დააკლდება და ამიტომაც სიძლიერით მე-19 კატეგორიას მიაკუთვნეს. ცნობისთვის, სუპერტურნირებს კატეგორიები მასში მონაწილე დიდოსტატთა საშუალო რეიტინგებით ენიჭებათ

ვეიკ ან ზეეს გათამაშება სამ A, B და C ჯგუფადაა დაყოფილი. ყურადღება ძირითადად A ჯგუფზეა მოპყრობილი, სადაც მსოფლიოში საუკეთესო მოჭადრაკეები გამოდიან. B-ში ნაკლებად ცნობილი დიდოსტატები მონაწილეობენ, ხოლო C-ში მათზე დაბალრეიტინგიანები. ქართველები — ახალგაზრდა დიდოსტატი მერაბ გაგუნაშვილი და მასპინძელთა სახელით მოასპარეზე თეა ლანჩავა-ბოსბომი C ჯგუფის ტურნირში მონაწილეობენ. ეს გათამაშება კი სიძლიერით მე-9 კატეგორიისაა და აქ გამარჯვებული გაისად B-ში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს.

სუპერტურნირზე მეორე ტური მიილია და ცხრილს 1,5-1,5 ქულებით ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი და უნგრელი პიტერ ლეკო ლიდერობენ.

მეორე ტურში უნგრელი მოჭადრაკე შავი ფიგურებით მასპინძელ იან ტიმანს შეხვდა. თამაში ორივემ აქტიურად დაიწყო, თუმცა მალე უფრო გამოცდილმა ლეკომ იყოჩაღა და ოფიცრით თეთრ მეფეს მყუდროება დაურღვია. დიდი წვალების შემდეგ ტიმანმა თამაში გამოასწორა და საკუთარი ტერიტორიის გამაგრებას შეუდგა. უსაქმოდ არც უნგრელი იყო და ჰოლანდიელის მწყობრად დაწყობილ ფიგურებს დიდი ძალებით შეუტია. ამ ძიძგილაობაში ლეკოს მხედარი მეტოქის ხელმწიფეს მიუვარდა და თან ზურგს უკან მდგარ პაიკებს წინ წასასვლელი გზა გაუკვალა. რამდენიმე სვლაში გმირი მხედრის დასახმარებლად ეტლებიც გაიჭრნენ და მე-60 სვლაზე ტიმანი იძულებული გახდა, დამარცხება ეღიარებინა.

ასევე დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა ქულა ანანდმაც. მას სომეხი ვლადიმერ აკოფიანის დასამარცხებლად 45 სვლა დასჭირდა. მოიგო წინა ტურში სამარცხვინოდ დამარცხებულმა რუსმა ვლადიმერ კრამნიკმა. მან მასპინძელთა ერთ-ერთ იმედს ლუკ ვან ველს სძლია და ახლა ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

C ჯგუფში წარმატებით ასპარეზობს მერაბ გაგუნაშვილი. ჩვენებურმა შავი ფიგურებით სლოვაკ დუშკო პავასოვიკს მოუგო და ორი ქულით მასპინძელ ერნსტ სიპკესთან და გაჰოლანდიელებულ ლანჩავა-ბოსბომთან 1-3 ადგილებს იყოფს.

მეორე ტურის შემდეგ ტოტალიზატორები სუპერტურნირის მოგებას ინდუს ანანდს უწინასწარმეტყველებენ და კოეფიციენტად 2,8 უწერენ. მეორეზე 5 „კუშით" რუსი ვლადიმერ კრამნიკია, ხოლო მესამე 9 კოეფიციენტით ლეკო.

ლაზა გეგეჭკორი



ვეიკ ან ზეეში მთავარ ფავორიტად ვიშვანათან ანანდი მიიჩნევა

შერეკილი

ქარწალებული მილიონერი მემილიონედ გაფრენას აპირებს

ამერიკელ სტივ ფოსეტს, ლამის სამოცისა რომ მოყრილა, ისევ და ისევ არ ასვენებს თავისი მილიონები და ახალ-ახალი სახიფათო თავგადასავლებისკენ დაუოკებელი ლტოლვა.

ეს კაცი რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველგან ახალ სიმაღლეებს იპყრობს და ხშირად ამას პირდაპირი მნიშვნელობითაც აკეთებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცის ლაჟვარდებში დაფრინავს. ფოსეტი იქ ჯერ ოცნებით დაფრინავს, მერე ამ ოცნებას ფრთებს ასხამს და ბოლოს აერონაოსნობაში ერთიმეორის მიყოლებით ამყარებს მსოფლიოს რეკორდებს. განსაკუთრებით საჰაერო ბურთებით ფრენა უყვარს, თანაც ძირითადად მარტოდმარტო დაფრინავს და ასე იბადება რეკორდები: ეს სასიმაღლოო, ესეც ხანგრძლივობისაო, ესეც ფრენის სიშორისაო, სისწრაფისაო...

ჰოდა, ეს კაცი გახდა პირველი, ვინც დედამიწას მარტოდმარტომ საჰაერო ბურთით შემოუფრინა. იმ ბურთით ლამის ყველაფერი რომ დაიპყრო და ცაში მისაღწევი აღარაფერი დარჩა, მერე წყალზე დაეშვა, იქ ათამდე თავის მსგავსი შერეკილი მოძებნა და მათთან ერთად 32-მეტრიანი კატამარანით 24-საათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდს შეუტია. შეუტია და — რა გასაკვირია — დაამხო კიდეც, როცა იმ ერთ დღე-ღამეში 580 მილი გადალახა. მერე ისევ თავისი საჰაერო ბურთი გაბერა, ცაში აიჭრა და თავისივე რეკორდები გაუმჯობესა.

და აი, სტივ ფოსეტს ახლა თავისი საჰაერო ბურთი რომ დაუჩუტია და ის კატამარანიც სადღაც მშვიდ ყურეში რომ მიუტოვებია (ალბათ დროებით), ახალი იდეით აღვსილა და გადაუწყვეტია დედამიწას პირველმა მარტოდმარტომ ძირსდაუშვებლად და საწვავის შეუსვებლად თვითმფრინავით შემოუფრინოს. ოღონდაც ეს თვითმფრინავი ჩვეულებრივი კი არა, რაღაც იმ კატამარანის მსგავსი საფრენი აპარატი იქნება.

ამერიკის უდაბნო მოხავში აწყობილი ამ ერთძრავიანი თვითმფრინავის პრეზენტაცია ფოსეტის ძველმა მეგობარმა, მასავით მილიონერმა და შერეკილმა, ბრიტანელმა რიჩარდ ბრენსონმა მოაწყო. სერ რიჩარდი თავის დროზე თავადაც საჰაერო ბურთით ხან მარტო, ხან მეწყვილესთან ერთად ცდილობდა ძირსდაუშვებლად დედამიწის ირგვლივ მოგზაურობას.

ეს მოგზაური, რიჩარდ ბრენსონი, შეთავსებით „ვირჯინიას“ ბიზნეს-იმპერიის მფლობელია, რომელიც აერთიანებს ავიაკომპანიებს, რკინიგზას, რადიოსადგურებს, მობილურ კავშირს, ხმის ჩამწერ ფირმებს, ბანკებს...

„სტივი დიდი ხანია ოცნებობს ამგვარ ფრენაზე და ჩვენ „ვირჯინ ატლანტიკის“ წარმომადგენლები ვამაყობთ, რომ ფოსეტს მიზნის მიღწევაში ვეხმარებით — თქვა სერ რიჩარდმა სტივ ფოსეტის თვითმფრინავის პრეზენტაციაზე, რომელიც ბერტ რუტანის პროექტით აიგო.

მისივე პროექტით აიგო თვითმფრინავი "ვოიაჯერიც", რომელმაც 1986 წელს ძირსდაუშვებლად და საწვავის შეუვსებლად პირველმა განახორციელა გარსაქცეყნო მოგზაურობა. ოღონდაც, „ვოიაჯერი“ ორპილოტიანი იყო. მაშინ „ვოიაჯერმა“ 40 211 კილომეტრი 216 საათში დაფარა. ერთი პილოტი რომ ისვენებდა, მეორე დიდ გაწამაწიაში იყო. აქეთ ნავიგაციისა და კავშირის უზრუნველყოფაო, იქით ავზიდან ავზში საწვავის გადაქაჩვა-გადმოქაჩვა, რათა თვითმფრინავი დაბალანსებულიყო.

ახლა სტივ ფოსეტს ყველაფერ ამის გაკეთება მარტოდმარტოს მოუწევს და არც ხმის გამცემი ეყოლება 13 700 მეტრის სიმაღლეზე, შედარებისთვის კი შეგახსენებთ, რომ სამგზავრო ავიალაინერი „ბოინგ 747“ საათში 912 კილომეტრის სისწრაფით დაფრინავს.

სტივ ფოსეტის ეს თვითმფრინავი „გლობალ ფლაიერი“ ანუ მსოფლიოს მფრინავი რომ უწოდეს, მთლიანად მაღალტექნოლოგიური მასალებით ააგეს და ამიტომაც ბუმბულივით მსუბუქი გამოვიდა. ცარიელი თვითმფრინავის წონა სულ რაღაც 1600 კილოგრამია, მაგრამ 10 ტონის აწევა შეუძლია. ერთ კილომეტრზე იგი მცირელიტრაჟიან ავტომობილზე ნაკლებ საწვავს ხარჯავს. ძირსდაუშვებლად მას 33 800 კილომეტრის დაფარვა შეუძლია და საათში 440 კილომეტრს ავითარებს, მაგრამ ფოსეტი საშუალოდ საათში 480 კილომეტრი სისწრაფის განვითარებას და 40 211 კილომეტრის დაფარვას აპირებს.

ეგ როგორაო, ალბათ იკითხავს დაკვირვებული მკითხველი, პასუხად კი ფოსეტი ამბობს, მე დამეხმარება საკმაოდ ძლიერი ზურგქარი, რომელიც გოლფსტრიმის დინებას განაპირობებს. ეს ქარი დამეხმარება ჩემი მსუბუქი თვითმფრინავის მაქსიმალურ მანძილზე ფრენაში.

სხვათა შორის, „ვოიაჯერიც“ ამინდისა და გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებთი აიგო.

ახლა სტივ ფოსეტი ზის და ელოდება ისეთ ზურგქარს, რომელიც გოლფსტრიმს განაპირობებს. ასეთი ქარი ჩვეულებრივ გაზაფხულსა და შემოდგომაზეა, მაგრამ როცა არ უნდა იყოს, სტივ ფოსეტის გადამკიდენი დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს კაცი იმ ქარს ისევე დაიჭერს, როგორც საჰაერო ბურთებით ფრენისას.

ავთანდილ გურასაშვილი

სტივ ფოსეტის არამიწიერი გატაცებები

ფილადელფიელი ჯერემი რენიკი პიტსბურგელ მეკარე ჟან სებასტიან ობენს ჩაგრავს

მზე და სითბო პინგვინსაც სჭირდება

12 იანვარი

ბოსტონი 4:3 ბუფალო

1:2 1:1 2:0

0:1 ბრიარი (5), 1:1 ტორნტონი (10), 1:2 ჰეტტი (13), 1:3 ბოტერილი (23), 2:3 ბერჟერონი (36), 3:3 ბერჟერონი (45), 4:3 სამსონოვი (53)

კემ ნილის საამაყო ნამდვილად აქვს. 80-90-იან წლებში „ბოსტონის“ ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა ფორვარდმა მძიმე ტრავმის შემდეგ ნაადრევად დაასრულა კარიერა, მაგრამ მშობლიურმა კლუბმა გარჯა დაუფასა და მისი 8-ნომრიანი მაისურა „ფლიტსენტრის“ ჭერქვეშ აფრიალდა. მოგეხსენებათ, ნილი პირველ ყოვლისა საუკეთესო მეგოლე იყო, ამიტომაც იგი იმ თამაშში ყველაზე მეტად პატრის ბერჟერონის სიმარჯვემ აღაფრთოვანა. ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ კვლავ დაამტკიცა, რომ „დათვების“ ძირითადში დამსახურებულად დაიმკვიდრა ადგილი — 18 წლის და 6 თვის ნორჩმა ორი გოლი გაიტანა და სახელოვანმა ვეტერანის გული მოიგო.

ფილადელფია 1:2 პიტსბურგი

0:1 0:1 1:0

0:1 ტარნსტრიომი (17), 0:2 კოსტოპულოსი (33), 1:2 კომრი (45)

ზოგჯერ მზე „პიტსბურგისთვისაც“ ანათებს. აუტსაიდერმა „ფილადელფია“ დასცა მისსავე მოედანზე, თან „მონრეალთან“ 0:8 ფიასკოს შემდეგ. მატჩის წინ კი ცნობილი გახდა, რომ 19 წლის ვუნდერკინდი მეკარე მარკ-ანდრე ფლერი კვლავ შეუერთდება გუნდს. შეგახსენებთ, რომ ფლერი ახალგაზრდეგის მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადის ღირსებას იცავდა და მას შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობა ეკონომიის მიზნით მის ფარმკლუბში გაგზავნას გეგმავდა. ბოლოს საღმა აზრმა გაიმარჯვა (განა შეიძლება ასეთი პოტენციალის მეკარეზე უარის თქმა?) და ფლერი „პინგვინების“ ბუდეს დაუბრუნდა. ამ მატჩში მარკ-ანდრე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მისმა კოლეგა ჟან სებასტიან ობენმა კი ღირსეულად დაიცვა „პიტსბურგის“ კარი. ცხადია, ობენს ესმის, ვისთან უწევს კონკურენცია, ძალიან მოიწადინა და აკი 33 დარტყმაც მოიგერია.

მინესოტა 3:3 ნეშვილი

1:2 0:0 2:1 0:0

0:1 ჰარტნელი (12), 0:2 ერატი (28), 1:2 პარკი (20), 2:2 კუბა (43), 2:3 ორზაგი (49), 3:3 ფილტოკი (60)

სენტ ლუისი 7:4 ჩიკაგო

3:1 2:3 2:0

1:0 პრონგერი (1), 2:0 ბეკმანი (6), 3:0 დემიტრა (13), 3:1 ბელი (18), 3:2 ბურარდი (21), 3:3 კოლდერი (25), 3:4 ფამნოვი (26), 4:4 მელანბი (26), 5:4 პრონგერი (31), 6:4 დანტონი (49), 7:4 დანტონი (59)

რაინჰარდ დივისი, მასპინძელთა ავსტრალიელი მეკარე, „ჩიკაგოსთან“ მატჩში სულაც არ ელოდა, რომ ყინულზე გავიდოდა, მაგრამ კრის ოსგუდმა მეორე პერიოდის პირველ 5 წუთში 3 შაიბა რომ გაუშვა, თავის გამოჩენის საშუალება მეორე მეკარესაც მიეცა და თავის მეორე ნჰლ-ურ მატჩში ყველა, თხუთმეტივე დარტყმა მოიგერია.

სამველ ღარიბიანი

აღმოსავლეთი

ატლანტიკა								
ფილადელფია	44	20	10	5	9	118:98	55
ნიუ ჯერსი	41	21	9	1	10	97:74	52
აილენდერსი	42	20	3	1	18	120:107	44
რეინჯერსი	42	17	5	4	16	113:112	43
პიტსბურგი	44	11	5	3	25	85:158	30
ჩრდილო-აღმოსავლეთი							
ტორონტო	44	23	8	3	10	123:107	57
ოტავა	42	22	6	3	11	135:86	53
ბოსტონი	44	19	10	4	11	109:106	52
მონრეალი	44	21	5	2	16	109:96	49
ბუფალო	44	17	5	1	21	103:115	40
სამხრეთ-აღმოსავლეთი							
ტამპა	41	19	6	1	15	97:88	45
ატლანტა	44	19	4	2	19	125:134	44
ფლორიდა	44	14	10	2	18	94:116	40
კაროლინა	43	14	9	2	18	76:99	39
ვაშინგტონი	44	13	4	1	26	106:138	31

დასავლეთი

ცენტრი							
დეტროიტი	45	26	4	2	13	146:102	58
სენტ ლუისი	41	23	5	1	12	106:96	52
ნეშვილი	43	20	5	2	16	105:112	47
ჩიკაგო	45	11	7	5	22	93:131	34
კოლუმბუსი	43	11	6	3	23	83:116	31
ჩრდილო-დასავლეთი							
ვანკუვერი	44	24	7	2	11	127:99	57
კოლორადო	42	23	7	2	10	128:94	55
კალგარი	41	22	3	3	13	97:82	50
მინესოტა	44	15	12	0	17	96:95	42
ედმონტონი	43	16	7	1	19	107:116	40
წყნარი ოკეანე							
სან ხოსე	43	18	11	4	10	107:94	51
ფინიქსი	42	16	12	2	12	107:106	46
დალასი	44	18	8	0	18	87:99	44
ლოს ანჯელესი	42	16	8	4	14	110:110	44
ანაჰაიმი	43	13	7	5	18	90:113	38

ბომბარდირები: ლანგი (ვაშინგტონი) 49(22+27); ნესლუნდი (ვანკუვერი) 49(22+27); კოვალჩუკი (ატლანტა) 48(22+26); საკიკი (კოლორადო) 48(18+30); ტანგეი (კოლორადო) 46(13+33); დაციუკი (დეტროიტი) 45(21+24); ჰოსა (ოტავა) 45(20+25); დოუნი (ფინიქსი) 44(17+27); სუნდინი (ტორონტო) 43(16+27); ნადი (ფინიქსი) 41(20+21); ალფრედსონი (ოტავა) 41(17+24); ჰალი (დეტროიტი) 41(16+25); პალფი (ლოს ანჯელესი) 41(16+25)

ვარჯიში წყალში

ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრები შესარჩევ ტურნირს ლიდერობს და თანაც მწვრთნელ კარლინიოსის თავკაცობით აუზში ვარჯიშობს. ბრაზილიის ქალაქ კონსეპსიონში მიმდინარე ფეხბურთელთა ტურნირის ორი საუკეთესო გუნდი ათენში გაემგზავრება.

REUTERS კონსეპსიონიდან

ქორწილი

სუმოს მოჭიდავე კონიშიკიმ ცოლი (გვერდით უზის) შეირთო და ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენციაც მიეძღვნა. გოლიათის მეუღლე, ჩიე ლიიმა ექთანია. კონიშიკი ტოკით ჰავაელია და სუმოს ამბავში პირველი უცხოელია, სიდიდით მეორე ტიტული, „ოზეკი" რომ დაიმსახურა. შვიდი წელიწადია კონიშიკი აღარ ჭიდაობს, მაგრამ იაპონური ტელევიზიის ვარსკვლავი კი გახლავთ.

წაგების სახე

კი, მართლაც ძნელია, როცა დამატებით დროში წააგებ თამაშს, თანაც შენს მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში". „ნიკსმა" 121:127 დათმო „დალას მავერიკსთან", ნიუ იორკელთა მწვრთნელს დონ ჩეინის კი თითქოს გული უგრძნობდა, რახან თავის მოთამაშეთა უხეირო ნატყორცნებს დარდიან ჩაღიმებით უხუჭავდა თვალს.

გაცილება

ბოსტონის „ფლიტ სენთერში" ყინულიდან დიდი პატივით გააცილეს „ბრუინსის" მერვე ნომერი კამერონ ნილი. დამკვიდრებულ წესისამებრ, ნილი ცოლ-შვილთან ერთად გავიდა ყინულზე და დარბაზის ჭერში თავისი ნომრის დაკიდებას დაესწრო.

REUTERS ბოსტონიდან



REUTERS ჰიუსტონიდან

ვარსკვლავი ოთხი ბიჭით

ბეისბოლისტი როჯერ კლემენსი „ნიუ იორკ იანკის" ლეგენდარული მოთამაშეა, რომელიც კეტსა და ბურთს გამოეთხოვა, უცებ კი კვლავ თამაში გადაწყვიტა და „ჰიუსტონ ასტროს" გუნდში ჩაეწერა. სურათზე კლემენსი ცოლ დების და ოთხ ვაჟთან ერთად „ასტროსის" მინდორზეა გადაღებული. სხვა მხრივ კი, კლემენსი 21-ე მოთამაშეა მეიჯორ ლიგაში, კარიერაში სამას მატჩზე მეტი რომ მოუგია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge